ეროვნული ბიბლიოთეკა

სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ხუთშაბათი, 26 სექტემბერი 1918 წ.

ერთობა

ფასი
40 კაპ.

გაზეთის ფასი: 1 თვით 9 მანეთი ცალკე ნომერი ღირს 40 კაპ. განცხადების ფასი, როგორც პირველ გვერდზე, ისე მეოთხეზე, პეტიტის სტრიქონი—1 მან. სამგლოვიარო განცხადება 15 მან. საჩქარო განცხადება უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს დილის 12 ს. ხელმოუწერელი წერილები არ იბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს, ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ-მოწერას კისრულობს.

ხელის მომწერლებმა ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ: Тифлисъ, почтов. ящ. 199. Редакція „Эртоба". სხვა ადრესით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს. რედაქციაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება 10—12 საათამდე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პროსპექტი № 12. Тифлисъ. Головинскій проспектъ № 12).

ტელეფონი 16—62.

№ 205 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა № 205

თავზარ დაცემულნი: ქალები ნინა მირკევიჩისა, ბარბარე ჩარკვიანისა, და ვაჟი გრიშა ტატეს ძე იორდანოვი, სიძეები პავლე მირკევიჩი, კონსტანტინე ჩარკვიანი გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ დაუვიწყარ ძვირფასი დედის

ეკატერინე იორდანოვის

უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა ხუთშაბათს, 26 ენკენისთვეს წმინდა ნინოს სასაფლაოზე. გამოსვენება დილის 10 საათზე. ნიკოლოზის ქუჩა, № 104. (2—2)

ღრმათ დამწუხრებულნი ცოლი ვალენტი დიმიტრის ასული, შვილები: მარუსა და შოთა, დები: ელისო და ევა, ძმები: გიორგი და მელიტონ, ბიძა სტეფანე, ბიცოლები: ვერიჩკა და ვარა ლომთაძეებისა, ცოლის ბიძა ვასილ სიმონის ძე ფარჯანაძე, მამიდის შვილები: ვლადიმერ, პართენ და პოლიო ქარაზანიშვილები, ნათლია სამარგულიანი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავ-ნაცნობ-მეგობრებს, რომ 24 ენკენისთვეს (ახალი სტ.) ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ უდროოთ გარდაიცვალა

ბათლომე ბასილას ძე ლომთაძე.

პანაშვიდი 26 სექტემბერს, საღამოს 7 ს. ჩერქეზიშვილის ქუჩა № 87. დასაფლავების დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. (2—1)

ლატარიის დღეები

ლატარიის დღეების მომწყობი კომიტეტი ამით აცხადებს, რომ 28 და 29 სექტემბერს თფილისში დანიშნულია ლატარიის ბილეთების **საჯარო გაყიდვა** და მოუწოდებს ყველას, ვისაც უყვარს უნივერსიტეტი და თეატრი,—ეს ორი დედაბოძი ერის კულტუროსნობისა—გამოიღოს თავისი წვლილი და იყიდოს ბილეთი. ყოველი მყიდველი გარდა იმისა, რომ ასრულებს თავის მოვალეობას ერის წინაშე, შეიძენს საშუალებას ასი ათასი მანეთის მოგებისას. სულ იგებს 2393 ბილეთი და დარიგებული იქნება ნახევარი მილიონი მანეთი.

კომისიის თავმჯდომარე მ. რამიშვილისა.

გამგე—დირექტორი სოლ. ახვლედიანი.

დასრულდა რევოლუცია?

ჩვენი პრესის ერთ ნაწილს არაფერი ისე არ ახარებს, როგორც ნიშანი რევოლიუციის დათავებისა, პროფესიონალურმა ორგანიზაციებმა, რომელნიც უმთავრობობის ხანაში მთელი ძალა-უფლება იგდეს ხელთ, ახლა ეს უფლებები თავისივე ნებით და დადგენილებით გადასცეს ხალხის ნდობით აღჭურვილ დემოკრატიულ მთავრობას. გვარდია, რომელიც რევოლიუციის ტალღების წარმოშობილია, კანონის ფარგლებში ჩადგა და ჯარის ნაწილი შეიქნა. ზოგიერთ მუშათა წრეების მიერ გადამეტებულ მოთხოვნილებათა წამოყენებას—შრომის სამინისტრო და ჩვენი პრესა ებრძვის, მათ მოქმედებას უგნურ მოქმედებათ თვლის და მუშებს გონიერებისკენ მოუწოდებს. ჩვენი მემარჯვენე გაზეთები ამის გამო სიხარულით ფეხზე აღარ დგანან, ეს არის რევოლიუცია თავდება, ს. დემოკრატები ჭკვიანდებიან, სახელმწიფოებრივ გზას ადგებიან.

ამით უნდათ თითქოს თქვან, რომ აქამდე, უგნურნი ვიყავით, არა სასარგებლო, არამედ საზიანო საქმეს ვაკეთებდით.

მართლა ასე გამოვიცვალეთ? და მართლა რევოლიუციის დათავების ნიშანია?

ვინც ოდნავ მაინც იცნობს ჩვენს წარსულს და ქინიანობით გატაცებული არ არის, დაგვეთანხმება, რომ ჩვენ მაქსიმალიზმის მომხრენი არასოდეს ვყოფილვართ. განა ჩვენ თვით რეაქციის დროსაც, თვით ნიკოლოზის ხანაშიც კი არ ვებრძოდით მუშათა ისეთ ნაბიჯებს, რომლითაც წარმოების განადგურება უნდა მოყოლოდა შედეგათ? განა მაშინ კი არ ვცდილობდით მუშებისთვის ასეთი ნაბიჯის გადადგმა თავიდან აგვეცილებია?

რასაკვირველია ვცდილობდით, და ვაღწევდით კიდეც მიზანს.

მაშ რა შეიცვალა ახლა?

მხოლოდ ის, რომ მაშინ მაქსიმალიზმს ასაბუთებდენ შეუგნებელი მუშები ნიკოლოზის რეჟიმის ბოროტებით, დღეს ასაბუთებენ რევოლიუციური ფრაზებით. ჩვენ, სოც.-დემოკრატებს, არც ნიკოლოზზე მითითება გვაშინებდა მაშინ, და არც რევოლიუციური სიტყვა გვაშინებს ახლა. მავნე მაქსიმალიზმს, მუშათა ინტერესების დამღუპველ ნაბიჯებს ვებრძოდით ყოველთვის და ვებრძვით დღესაც.

თუ ეს ნაციონალისტებს სახელმწიფოებრივ ნაბიჯებათ ეჩვენებათ, მათ თუ ლოღიკა შერჩენიათ და კეთილსინდისიერებას დაიცავენ, ისიც უნდა აღიარონ, რომ აქედან გამომდინარეობს: ე. ი. რომ მუშათა ინტერესები, სწორათ გაგებული, სავსებით ეთანხმება სახელმწიფოებრივ წინმსვლელობის ინტერესებს. რომ მუშათა კლასი თავის კლასობრივი ინტერესების მიხედვით აკეთებს იმას, რაც მთელი საზოგადოებისათვის სასარგებლო და გამოსადეგია. ასეა პროფესიონალური ორგანიზაციებისაგან ძალა უფლების დათმობის საკითხიც. ჩვენ პოლიტიკური პარტია ვართ, ე. ი. მომხრე სახელმწიფო აპარატის ჩვენს ხელში ჩაგდების და მის გამოყენების მუშათა კლასის ინტერესების მიხედვით. მაგრამ ჩვენ არასოდეს არ ვყოფილვართ მომხრე პროფესიონალურ კავშირებისაგან სახელმწიფო აპარატის როლის ასრულებისა. ეს ყოველთვის სინდიკალისტების მოძღვრებათ მიგვაჩნდა. რევოლიუციის პირველ ხანაში იგი ჩვენ იძულებით ავიღეთ, ვინაიდან პოლიტიკური აპარატი არ მოიპოვებოდა. ამიტომ რა გასაკვირველია, რომ იგი პოლიტიკურ აპარატის გაჩენისთანავე მას გადავეცით, აქ მხოლოდ დაცულია ლოღიკა სოც.-დემოკრატიის.

ჩვენი ნაციონალისტები კი მზათ არიან ყოველივე ამის გამო რევოლიუციას „სულთა თანა“ უგალობონ. ამ ვაჟბატონების წარმოდგენაში, რევოლიუცია მხოლოდ ქუჩის არეულობას ან და სხვა ასეთ მოვლენებში იხატება, მის აზრს და შინაარსს, ე. ი. არსებით მხარეს კი იგი ყურადღებას არ აქცევს.

ჩვენთვის კი რევოლიუცია არც ფრაზაა და არც მოხერხებული გინდ უჯიათო ბუნტი. იგი ღრმა სოციალ პოლიტიკური ცვლილებაა. აპარატი ამ ცვლილების გამატარებელი შეიძლება შეიცვალოს, დროს და გარემოებას შეუფარდდეს, მარა თვით მიზანი კი უცვლელი დარჩება სრულ განხორციელებამდე. რევოლიუციის დამთავრება ასეთ აპარატების ცვალებადობით არ განისაზღვრება. დღეს ეროვნული საბჭო და მისი კანონმდებლობა უფრო მეტი რევოლიუციურია თავის შედეგებით და მნიშვნელობით, ვინემ უკიდურესი რევოლიუციური რეზოლიუცია, გინდ თავგანწირული აჟღარუნება იარაღის და მოწყობა ამბოხების.

ამიტომ ს. დ., როგორც უაღრესათ რევოლიუციური პარტია, დღეს საკანონმდებლო ორგანიზაციის გარშემო იკრიბება და ამ აპარატით სარგებლობას აძლევს უპირატესობას.

რევოლიუცია კი დამთავრებულათ მაშინ ჩაითვლება, როცა მისი მიზნები განხორციელდება, ე. ი. განმტკიცდება თავისუფლება და სოციალური რეფორმები, დამყარდება მტკიცე საფუძველზე ახალი ურთიერთობა, ახალი საზოგადოებრივი ძალთა განწყობილება. დღეს ასეთ ძალთა განწყობილების მკვიდრათ დამყარებას ადგილი არა აქვს. დღეს კიდევ ძალთა გაალმასებული ჭიდილია. ტალღები რევოლიუციის დაიშვა, წყნარდება, მარა ჯერ არ დაწყნარებულა. არც იმის თქმა შეიძლება, რომ იგი ერთხელ კიდევ არ იგრგვინებს მთელი თავისი სიძლიერით, და მარჯვნიდან მოწოლილ დაბრკოლებებს ერთხელ კიდევ არ გადალახავს...

დემოკრატიას დიდი სიფხიზლე და ორგანიზაციული მუშაობა მართებს, რომ ამ ტალღებს მომზადებული შეხვდეს... მიძინება და მოსვენება დემოკრატიის მხოლოდ ნაციონალისტებს განუმზადებს სამჯლისო სუფრას და დაუგვირგვინებს ოცნებას რესტავრაციისას.

ამიტომაც მღერიან ისინი რევოლიუციის დათავებაზე... მაგრამ ჩვენ გვწამს, რომ საქართველოს დემოკრატია ასეთი ტკბილი სიმღერებით თვალს არ მილულავს და ტკბილ ძილს არ მიეცემა იქ, სადაც სიფხიზლეს და გამჭრიახობას მოითხოვს მისგან ადგილი და გარემოება.

გაუგებრობა თუ თავგასულობა?

ეროვნულ საბჭოს სხდომის ანგარიშში მკითხველი ამოიკითხავს სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციის მთავრობისადმი წარდგენილ შეკითხვას და მთავრობის თავმჯდომარის განცხადებას ამ შეკითხვაზე. შეკითხვა ეხება ოსმალეთის მიერ თფილისში ინგლისელ ტყვეების შემოყვანას.

საერთაშორისო უფლება აწესებს ერთგვარ ნორმებს, რომლის ძალას ყველა სახელმწიფო სცნობს. მართალია რომელიმე სახელმწიფოს შეუძლია კანონი გადალახოს, მეტადრე როცა მეზობელ სახელმწიფოსთან ომს აწარმოებს, მაგრამ ერთგვარი მინიმუმი ომის წარმოების დროსაც სავალდებულოა, როგორც კერძო ადამიანისთვის არის სავალდებულო ერთგვარი რიგიანობა.

ასეთს უბრალო რიგიანობას საერთაშორისო სფეროში, როგორ ეტყობა, არ სცნობს ოსმალეთის მთავრობა. ის დღეს ჩვენთან ომს არ აწარმოებს. ჩვენ კი ნეიტრალიტეტს ვიცავთ და არც ერთს სახელმწიფოსთან ომი არა გვაქვს. ამიტომ არც ერთს სახელმწიფოს შეიარაღებულ ძალას ნება არ აქვს ჩვენი მთავრობის დაუკითხავათ ჩვენს ტერიტორიაზე შემოსდგას ფეხი.

ოსმალეთის აგენტებმა კი როგორც შეკითხვიდან ტყობილობს მკითხველი, არა თუ შეიარაღებული ასკერები, დატყვევებული ინგლისელებიც კი შემოიყვანეს.

რითი უნდა აიხსნას ოსმალეთის ასეთი საქციელი? როცა მან ბათუმში საერთაშორისო უფლების საარაკო დარღვევით გაატარა რეფერენდუმი, ეს ჩვენის აზრით გასაგებია: სულთანს სურვილი ქონდა ბათუმის ოლქი თავის სამფლობელოთ გამოეცხადებია და „ბალშევიკურათ“ განახორციელა ერთა თვით გამორკვევის პრინციპი. მაგრამ რა რეალური ინტერესი ამოქმედებდა მას, როცა ჩვენს ტერიტორიაზე ინგლისელი ტყვეები შემოიყვანა?

ჩვენ ვფიქრობთ, რომ აღნიშნული ნაბიჯი ოსმალეთის მთავრობის აგენტების უკულტურობის ნაყოფია; მათ ალბათ, ვერ შეუთვისებიათ საერთაშორისო უფლების ანბანი.

იმედია ჩვენი მთავრობა შეასრულებს თავის მოვალეობას: ინგლისელ ტყვეების განთავისუფლებასთან ერთად ასკერებს იარაღს აჰყრის და ოსმალეთის მთავრობას მოსთხოვს, რომ მან საერთაშორისო უფლების და ჩვენი ინტერესების დამრღვევი აგენტები პასუხისგებაში მისცეს.

პრესა

„იუბენი რეგვენსაო, ურაკუნე კიდელსაო“—ბრძნული თქმულებაა და რომ ესერების გაზეთი „შრომა“ ამ თქმულების აზრს ჩაუკვირდებოდეს, შიგ თავის თავს დაინახავს.

ამას წინეთ ჩვენ აღვნიშნეთ, რომ უკანასკნელ დროის გლეხთა არეულობას შეუგნებელი მაქსიმალიზმის ხასიათი ჰქონდა, რომელსაც თავის დროშა გადააფარეს ბალშევიკებმა. ესერების გაზეთს გლეხების ასეთი გამოსვლა დემოკრატიის წინააღმდეგ მათი დიდი შეგნების ნიშნათ მიუჩნევია და გახარებული გვიძახის:

„გლეხობამ ბევრი გაკვეთილების შემდეგ აქა-იქ დაინახა სოციალ-დემოკრატების ნამდვილი სახე, რომელსაც უკანასკნელნი გლეხობას უმალავდენ, გაიგო მათი პროგრამა, და მისწრაფება და.. მათ უკვე შორდება. ახლა ვიკითხოთ, რომელია უფრო ჩამორჩენილი: ის გლეხობა, რომელმაც ს.-დემ. ნამდვილი სახე დაინახა, მისი პროგრამა გაიცნო და ჩამოშორდა, თუ ის გლეხობა, რომელმაც ჯერ კიდევ სოციალ დემოკრატიის პროგრამა ვერ გაიგო, მისი ნამდვილი სახე ჯერ კიდევ ვერ დაინახა და მასთან დარჩა?“

აი გამანადგურებელი საბუთი, თუ გნებავთ. ლეჩხუმელი ბალშევიკები, კობის ოსები—წერა-კითხვის უცოდინარნი, ზუგდიდის აჯანყებული ყაჩაღები და მათი ამყოლნი, ყოფილან უფრო შეგნებულნი, ვინემ ვთქვათ, იმერეთის, გურიის, ქართლ-კახეთის გლეხობა!.. პირველთ ს. დ. პარტიის სახე უცვნიათ, მეორენი კი ბრმა ყოფილან, და ეს ვერ დაუნახავთ. ერთი სიტყვით ჩამორჩენილობა, ეკონომიური განუვითარებლობა, უცოდინარობა, დიდი ცოდნის და გაგების წყაროთ გამხდარა. გაუმარჯოს სიბნელეს! აი წყარო სწორი გზის გამონახვის.

„შრომა“ ვერც კი გრძნობს, რომ უაზროთ შრომობს და მხოლოდ თავს ირცხვენს. ან იქნება მას სენაკში ბალშევიკების ხმის მიღებამ დააკისრა ვალდებულება ბალშევიკურ ავანტიურის და ყაჩაღური გამოსვლების დაცვისა? მოგვილოცნია!

„ტრუდოვოე ზნამიას“ როლი ქართულ პრესაში „შრომამ“ დაიჭირა, ეს წვრილ ბურჟუაზიული იდეოლოგები მეწვრიმალური მეშჩანური ფრაზეოლოგიით და ოცნებებით გატაცებულნი სხვას უკიჟინებენ... რეაქციონერობას:

„მოიგონეთ ნ. ჟორდანიას გამოლაშქრება გლეხების და გლეხური მოძრაობის წინააღმდეგ. წინეთ ისინი ამას ვერ ამბობდენ. დღეს კი ხალხის მოძრაობა ჩააქრეს და აღარ ეშინიათ, მათ უკვე იწყეს თავისი ანტი-სოციალისტური ზრახვების გამოაშკარავება. დღეს ისინი ეროვნულ დემოკრატებს უახლოვდებიან და მხარს უმშვენებენ რეაქციონურ ბურჟუაზიულ წრეებს რუსეთის რევოლიუციის ლანძღვა-გინებაში“ („შრომა“ № 36).

რაშია საქმე?

ნ. ჟ—ამ დაგმო დუშეთ-ლეჩხუმელთა აჯანყებები და მათი რეაქციონური უწოდა. „შრომის“ ბრძენი სოციალისტ. აზრით კი ეს ყოფილა „გალაშქრება გლეხების და გლეხური მოძრაობის წინააღმდეგ“. მაშასადამე „შრომა“ და მისი სულის ჩამდგმელნი მომხრე არიან ისეთ გამოსვლების, როგორიც იყო დუშეთში, ლეჩხუმში და სამეგრელოში. მაშასადამე ისინი ამ მართლა რეაქციონურ გამოსვლებს ექომაგებიან და ესარჩლებიან. ეს მოძრაობა მიაჩნიათ სანაქებო საქმეთ. რათ ამას აშკარათ და ნათლათ არ იტყვიან. ბალშევიკების მხარეს თუ დგანან, გაბედულებაც უნდა შესწევდეთ ეს საჯაროთ აღიარონ. ჩვენ მაშინ გვეცოდინება ვისთან გვაქვს საქმე.

„დღეს კი ხალხის მოძრაობა ჩააქრეს და აღარ ეშინიათ“. ამას სწერენ ს.-რევოლიუციონერთა ორგანო, რომლის წარმომადგენელი მთავრობაში ზის და რომლის ნებართვით და თანხმობით წითელი გვარდია მიდიოდა სოფელში აჯანყების ჩასაქრობათ.

ჩვენ სერიოზული ეჭვი გვებადება, რომ ესერებს იანუსივით ორთავიანი სახე აქვთ და ორმაგ პოლიტიკას აკეთებენ. ერთს ეთანხმებიან მთავრობაში, მეორეს სწერენ გაზეთში. რომელი მათგანი წარმოადგენენ ნამდვილ ესერებს. ვისთან გვაქვს საქმე: ბალშევიკურ და ხულიგნურ გამოსვლების მომხრეებთან თუ მათ მოწინააღმდეგეებთან? გაზეთ „შრომას“ აწერია, რომ ის ცენტრალურ კომიტეტის ორგანოა. ეროვნულ საბჭოს ფრაქცია და მთავრობაში მათი წარმომადგენელი ვის პოლიტიკას აწარმოებენ?

ნუ თუ ესერებში რამდენი კაცია, იმდენი ჯგუფია, იმდენი საწინააღმდეგო აზრი და მიმართულებაა?

* * *

თათრულათ მოაზროვნე „გრუზია“ ყველაზე მეტად წითელ გვარდიით არის გაბრაზებული. ხალხის ძალა-უფლების სიმტკიცის უმთავრესი წყარო, აბა ამ რეაქციონერთა სულის ჩამდგმელთ რათ მოეწონებათ?

და ისინი მზად არიან ბრალიანსა და უბრალოზე მას თავში ჩაჰკრან. აი რას სწერენ ეს ვაჟბატონები გვარდიაზე:

„ეს რუსეთის რევოლიუციის ექსპერიმენტთა იმ სფეროდან არის, რომელზედაც თანდათან უარი უნდა ვთქვათ და რომელიც კარგა ხანია დროა არქივს ჩაბარდეს რევოლიუციის გასართობთა განსაკუთრებულ ისტორიულ მუზეუმში. სამწუხაროთ ასეთები კიდევ ბევრია ჯერ საქართველოს რესპუბლიკაში“.

შეიძლება კაცს არ მოსწონდეს ესა თუ ის დაწესებულება, რეაქციონერს ეჯავრებოდეს რევოლიუციის მატარებელი ორგანო, როგორც ხარს—წითელი ფერი. მაგრამ რიგიანი, თავის თავის პატივისმცემელი მწერალი, განა იკადრებს იმდენი მხვერპლის და სისხლის, რომელიც გვარდიამ მიიტანა საქართველოს დემოკრატიის და თავისუფლების სამსხვერპლოზე „რევოლიუციის გასართობები“ უწოდოს? სინიდისიც კარგი საქონელია. მაგრამ კარგია იმისთვის, ვისაც იგი მოეპოვება...

საქართველოს გარშემო

I

ბევრს სწერდენ და კვლავ განაგრძობენ წერას რუსეთის გაზეთებში საქართველოს შესახებ.

პრინციპიალური წერილები, თუ უბრალო ცნობის ხასიათის მასალა რუსეთის გაზეთებში, საქართველოს წინააღმდეგაა მიმართული.

საქართველოს წინააღმდეგ სწერენ ბალშევიკური გაზეთები, სოციალისტ-რევოლიუციონერების თუ სხვა „სოციალისტების“, კადეტების, შავრაზმელების და სხვათა გაზეთები.

ის, რაც კეთდება და იწერება თფილისში საქართველოს წინააღმდეგ, უცვლელად, ხშირად სხვადასხვა „შესწორებებით“ ვრცელდება რუსეთში!

ამიტომ, ეჭვი არაა, იქაური მკითხველი არ იქნება კარგი შეხედულობის საქართველოზე!

ჩვენი ვალია ვებრძოლოთ ყალბი ცნობების გავრცელებას, მაგრამ გულახდილათ უნდა ითქვას, ძნელი იქნება ეს, ვინაიდან მცირეა რიცხვი დამცველთა, მტერი კი მრავალრიცხოვანია.

ეკატერინოდარში გამოდის ცნობილი მონარქისტის შულგინის რედაქტორობით გაზეთი „როსსია“. ამ გაზეთის 28 აგვისტოს ნომერში შემდეგი ცნობაა მოთავსებული ამ სათაურით:

მდგომარეობა ამიერ კავკასიაში.

ფეოდოსია. „ამიერ-კავკასიიდან მოსულთა სიტყვით საქართველოს მთავრობამ თფილისიდან გადაასახლა ქალაქ გარეთ ტრიალ მინდვრათ 360 ათასი ლტოლვილი სომეხი. ხოლერა და შიმშილი თფილისში ძლიერდება. სოციალისტურმა მთავრობამ შემოიღო სიკვდილით სასჯელი „გაძარცვისა, მოკვლისა, კონტრ-რევოლიუციისა, სპეკულიაციისა და სხ. წინააღმდეგ—როგორც ეს სიტყვა—სიტყვითაა მოყვანილი ბრძანებაში. ეს ბრძანება საუკეთესო იარაღია ქართველ შოვინისტების ხელში ანგარიშის გასასწორებლათ სომხებთან და რუსებთან. ფეოდოსიაში მოვიდენ ამ დღეებში 200 რუსი ჩინოვნიკები, რომლებიც საქართველოს მთავრობას სამსახურიდან დაუთხოვია. ჯამაგირი მათთვის არ მიუციათ. ფოსტის გაქართულება გადადებულ იქნა 15 სექტემბრამდე, მაგრამ ყოველგვარი გასაგზავნ ამანათებზე სავალდებულოა ქართული. საქართველოს მთავრობის მოქმედება პირდაპირ ბალშევიკურია. შესდგა „კონტრ-რევოლიუციის წინააღმდეგ მებრძოლი კომისია“ და სხ., რომელიც არაფრით არ ჩამორჩება საბჭოთა კომისიებს და ძველი რეჟიმის საიდუმლო პოლიციას. ქართული შოვინიზმის შედეგია, რომ სხვა ერები საქართველოში უფლება აყრილნი არიან. რუსი ჩინოვნიკები და აფიცრები წარმოუდგენელ გაჭირვებას და დამცირებას განიცდიან. დაპატიმრებულია გენ. ჟუნკოვსკი. მეტეხის ციხე გავსილია პოლიტიკური ტუსაღებით. ყოფილი რუსი აფიცრები რესტორნებში მსახურობენ. ქართველების პოლიტიკა კავკასიელ სომხებისადმი სიძულვილით და გამცემლობით არის გაჟღენთილი. საქართველომ მიითვისა ამიერ-კავკასიაში დარჩენილი რუსების სახაზინო ქონება, თითქოს რუსებისთვის გადასაცემად. ამგვარი მოქმედება აძლიერებს ერთა შორის სიძულვილს. თფილისში ცეცხლი გაჩნდა და გადასწვა რუსების სასურსათო 8 საწყობი. კავკასიის თათრები და სომხები გადაჭრით ადგანან რუსეთის ორიენტაციას. რუსების დამოკიდებულება სომხებისადმი მეგობრულია. სომხეთის ეროვნულ საბჭოში უმცირესობათა უფლება—რუსების და თათრების დაცულია. სრულიად დამოუკიდებელია სომხეთის მთიანი ნაწილი—ყარაბახი“.

ჩვენს მკითხველს კარგათ მოეხსენება რამდენათ შეეფერება ეს ცნობა სინამდვილეს. ამ მხრით არც ჩვენ ვიტყვით რასმე. მკითხველისთვის საინტერესოა იცოდეს, ვინ ავრცელებს ამგვარ ცნობებს, ვისთვის არის ის ხელსაყრელი?!

ამის შესახებ მოვილაპარაკებთ შემდეგ წერილში.

საქართველოს ეროვნული საბჭო

24 სექტემბრის სხდომა.

საბჭო ამტკიცებს წინა სხდომებზე მიღებულ კანონ-პროექტების საბოლოო ტექსტს სარედაქციო კომისიის შესწორებებით.

დ. ონიაშვილის მოხსენებით საბჭომ მიიღო კანონ-პროექტი სახელმწიფო კონტროლიორისთვის ჯამაგირის დაწესების შესახებ. კანონ პროექტის ძალით სახელმწიფო კონტროლიორს თვეში მიეცემა 1500 მ.

ონიაშვილისავე მოხსენებით საბჭომ მიიღო კანონ-პროექტი ჯარის კაცთა საჭიროებისათვის წმინდა სპირტის, თუთუნის, პაპიროზის და წუმწუმის უაქციზოდ მიცემის აღკრძალვის შესახებ. კანონ პროექტის ძალით ყველა რუსეთის სხვადასხვა დროს გამოცემული კანონები ამ საკითხის შესახებ უქმდება. საბჭომ ეს ორი კანონ-პროექტი უკამათოდ მიიღო.

მდივანი კითხულობს ს.-დემოკრატიული ფრაქციის წერილობითი შეკითხვას მთავრობისადმი; შეკითხვის შინაარსი ასეთია: სოც. დემ. ფრაქციას მოუვიდა ცნობა, რომ თფილისში ჩამოსულან ასკერები და ჩამოუყვანიათ რამოდენიმე დატყვევებული ინგლისელი, რომლებსაც აქ სდარაჯობენ, რადგან ასეთი ფაქტი ძირიანად ეწინააღმდეგება საქართველოს რესპუბლიკის ნეიტრალიტეტს და ყველა დადებულ ხელშეკრულებას ოსმალეთთან, ფრაქცია ეკითხება მთავრობას იცის თუ არა მან ეს ფაქტი და თუ იცის რა ზომას ხმარობს საქართველოს რესპუბლიკის ნეიტრალიტეტის და მის სახელმწიფოებრივ უფლებების დასაცავად.

თავმჯდომარე აცხადებს, რომ პირველ რიგზე დასმულია ახმეტელის შეკითხვა, მაგრამ ს. დ. ფრაქცია მოითხოვს მათი შეკითხვა სასწრაფოთ და პირველ რიგში იქნას გარჩეული.

ი. წერეთელი. მე მგონია, რომ ეს საკითხი დავას არ გამოიწვევს, რადგანაც ის ეხება საქართველოს დამოუკიდებლობას და მის სუვერენიტეტს. საკითხი სასწრაფოა და ამიტომ პირველ რიგში უნდა გაირჩეს.

ს. დადიანი. ს.-ფედერალისტთა ფრაქციას შემოტანილი წინადადების საწინააღმდეგოდ არაფერი აქვს თუ მთავრობა მზათ არის პასუხის გასაცემად.

ი. წერეთელი. ბ. ბ.! სოციალ დემოკრატიულ ფრაქციას მოუვიდა ცნობა, რომ აქ—ჩვენს დედაქალაქში ჩამოსულან ოსმალთა ასკერები და ჩამოუყვანიათ ტყვე ინგლისელები; მე ვფიქრობ, რომ ყველა, ვინც კი გაცნობილია საერთაშორისო უფლებებს, ის ამ ფაქტით ძლიერ აღშფოთდება. ჩემის აზრით ყოვლად დაუშვებელია ის გარემოება, რომ ნეიტრალურ სახელმწიფოს ტერიტორიაზე უცხო ხალხმა თავისი ტყვეები ჩა-

ეროვნული

მოიყვანოს და უდარაჯოს. ეს ჩვენს დამოუკიდებლობას არსებითად ეწინააღმდეგება. ჩვენ გვაქვს ხელშეკრულება ოსმალეთთან, რომლის ძალით მათ ჩვენს ტერიტორიაზე ჯარები გადაჰყავთ და ამას ჩვენი მთავრობა პირუთვნელად ასრულებს. ხოლო იმის უფლება, რომ ჩვენს ტერიტორიაზე შემოვიდენ ასკერები, მით უმეტეს შემოიყვანონ ტყვეები, ჩვენ არ მიგვცია მათთვის. ეს ჩვენს დამოუკიდებლობას ძირს გამოუთხრის. ჩვენი მთავრობის მიერ მიღებულ ზომებს ამ საქმის შესახებ ყველა გარეშე სახელმწიფოები თანაგრძნობით შეხვდება, როგორც საერთაშორისო უფლებების დაცვის საქმეს. მე ვფიქრობ, რომ მთავრობა ვალდებულია გაიგოს კარგად ეს ფაქტი და შესაფერი ზომები მიიღოს. აქ პარლამენტში საჯაროთ უნდა ითქვას თუ რა ზომები აქვს მთავრობას მიღებული და რა ზომების მიღებას აპირებს. დარწმუნებული ვარ, რომ მთავრობა სათანადო ზომებს მიიღებს და პასუხს გაგვცემს, აგრეთვე დარწმუნებული ვარ იმაში, რომ ჩვენი საბჭო, განურჩევლად პარტიისა და მსოფლმხედველობისა, ამ საკითხს ერთსულოვნურად შეხვდება, ვინაიდან ის ეხება საქართველოს დამოუკიდებლობას, ჩვენი სუვერენიტეტის შელახვას. (ტაში).

მთავრობის განმარტება.

ნ. ჟორდანია. ამ დილას, როცა სახლიდან მოვდიოდი, მითხრეს, რომ აქ ჩამოუვლიან ოსმალთა ასკერები, რომელთაც ჩამოუყვანიათ ტყვე ინგლისელები. მე ეს ვერ დავიჯერე. მოვედი თუ არა აქ, იმავ წუთში დავიბარე ტფილისის გარნიზონის უფროსი და მილიციის უფროსი. მათ მივეცი ბრძანება, რომ სასწრაფოდ წავიდენ იქ და შეამოწმონ მართალია თუ არა ეს ცნობა, თუ მართალია, მაშინ ისინი მოხსნან, ისინი მოსულან ოსმალთა მისიაში, სადაც მათთვის უთქვამთ, რომ ეს ცნობა მართალია რომ ასკერებმა სრულიად მისიის მოულოდნელად ჩამოიყვანეს ტყვე ინგლისელები ბაქოდან (7 კაცი) და ეხლა სადგურზე იმყოფებიან და ისევ უკან მიდიან. ეს ამბავი რომ გადმომცეს, მე მივეცი გარნიზონის და მილიციის უფროსს ბრძანება, რომ უჩემოდ არ გაუშვან, ჩამოიწერონ ყველას გვარები და შეადგინონ აქტი. ასეთია საქმის ფაქტიური მდგომარეობა.

ოსმალეთის მისიას სამი დღეა ამის შესახებ ცნობა ჰქონია, მაგრამ ჩვენთვის არ შეუტყობინებია. მე შევეკითხე ამის შესახებ საგარეო, სამხედრო და შინაგან საქმეთა მინისტრებს, მაგრამ გამოირკვა, რომ არც მათ მიუღიათ ოსმალთა მისიისაგან ასკერების მიერ ტყვეების შემოყვანის შესახებ ცნობა. რასაკვირველია არავის არა აქვს უფლება ჩვენს ტერიტორიაზე უცხო ქვეყნის ტყვეები შემოიყვანოს ჩვენდა დაუკითხავად და ეს არის ჩვენი სუვერენიტეტის შელახვა. რაც შეეხება საერთაშორისო უფლებას, სწორედ ეს უფლებაც ჩვენს სასარგებლოდ ლაპარაკობს და მათი (ოსმალთა ასკერების) საქციელი ამ უფლების დარღვევაა. ამაში დამნაშავე არიან ჩვენი დარაჯები, რომელნიც ვალდებული იყვნენ, რომ ეკითხათ მათთვის თუ ვინ იყვნენ ისინი და არ შემოეშვათ. მთავრობა ყოველ ღონეს იხმარს, რომ შემდეგში სასტიკად იქნას დაცული საზღვარი და საერთაშორისო უფლებრივი ნორმები და წესები. თუ რაიმე გართულება მოხდა საქმის, ამაზე შემდეგ მოგახსენებთ. (ხანგრძლივი ტაში).

ფრაქციათა აზრი მთავრობის განმარტების შესახებ

ს. ქედია (ე. დ.). არსებითად მე ამ საკითხის საწინააღმდეგო არაფერი მაქვს; როცა ქვეყანას საფრთხე მოელის გარეშე ძალისაგან, როცა ჩვენს დამოუკიდებლობას განადგურებით ემუქრებიან, მაშინ თითეული მოქალაქე ვალდებულია ამის წინააღმდეგ ხმა ამოიღოს და ზომები მიიღოს, მხოლოდ სამწუხაროა ის ფაქტი, რომ სამი დღეა, რაც ოსმალთ ასკერებს შემოუყვანიათ ტყვე ინგლისელები და მთავრობის თავმჯდომარეს დღემდე არ გაუგია ეს ამბავი, სამწუხაროა ის გარემოებაც, რომ ჩვენი საზღვრები ასე ცუდათ არის დაცული და ჩვენი მოხელეები სათანადოთ ვერ ასრულებენ საკუთარ მოვალეობას. ჩვენ მოვითხოვთ, რომ ამ მოხელეთ მთავრობამ მოსთხოვოს თანამდებობის ჯეროვანათ შესრულება.

აკაკი ფალავა (ს. ფ.). ს.-ფედერალისტთა პარტია კმაყოფილია მთავრობის განმარტებით და მწუხარებას გამოსთქვამს იმის გამო, რომ მთავრობამ ეს ფაქტი გვიან გაიგო, ფრაქცია დარწმუნებულია, რომ მთავრობა ყოველ საშუალებას იხმარს საქართველოს სუვერენიტეტის დასაცავად.

ი. გობეჩია (ს.-რ.). ეს შეკითხვა დიდმნიშვნელოვანია, რადგანაც მომხდარ ფაქტს დამოკიდებულება აქვს ბაქოში ოსმალთა გამარჯვებასთან. ს. რ. ფრაქცია კმაყოფილია მთავრობის განმარტებით, ვინაიდან ის დარწმუნებულია, რომ მთავრობა ამ საქმის გამო საჭირო ზომებს მიიღებს.

გ. ბარამიძე (დამოუკ. ე.-დ.) ჩვენი ფრაქციაც კმაყოფილია მთავრობის განმარტებით.

რეზოლიუცია.

საბჭომ ერთ ხმით მიიღო ირ. წერეთლის მიერ სოც.-დემოკრატიული ფრაქციის სახელით წარმოდგენილი შემდეგი რეზოლიუცია:

„მოისმინა რა მთავრობის განმარტება ოსმალთა ასკერებისაგან ტყვე ინგლისელების ჩამოყვანის შესახებ ქ. ტფილისში, საქართველოს ეროვნული საბჭო სრულიად დარწმუნებული, რომ მთავრობა მიიღებს ყოველივე ზომებს ჩვენი სუვერენიტეტის და ნეიტრალიტეტის დარღვევის წინააღმდეგ, რომ ის განახორციელებს ყველა მის მიერ აღნიშნულ ზომებს, უცხადებს სრულ ნდობას მთავრობას და გადადის მორიგ საკითხზე".

ა. ხ.

(გაგრძელება იქნება).

დეპეშები

(ამიერ-კავკასიის დეპეშათა სააგენტო).

25 სექტემბერი.

ბერლინი დიკსმიუდენის ჩრდილო-დასავლეთით წამოვიყვანეთ 70 ტყვე. მევრის ჩრდილოეთით მოვიგერიეთ მტრის იერიშები. ეპეის აღმოსავლეთით დავიბრუნეთ ზოგიერთი სანგრები. შამპანში მზვერავთა მოქმედებაა.

სტამბოლი. პალესტინის ფრონტზე განვაგრძობდით წინასწარი გეგმის თანახმად ჯარების გადაჯგუფებას. ინგლისელები ნილის ნაპირით თან მოგვყვებიან.

პარიზი. სენ-კვენტინის დასავლეთით ფრანგთა ჯარებმა ინგლისელებთან ერთად წინ წაიწიეს. მიუხედავად იმისა, რომ გერმანელები თავგამოდებით იცავდენ სოფ. დალლონს ჩვენმა ჯარებმა ის დაიკავეს. ფრანგებმა წამოიყვანეს 300 ტყვე. ვეილის ფრონტზე გერმანელები შემოიჭრენ ჩვენს ხაზში და შესძლეს გამაგრება.

მაკედონიის ფრონტი. მტრის დევნა გრძელდება მთელს ფრონტზე. ბულგარელები იხევენ სტრუმიცისკენ. ფრანგების ცხენოსანი რაზმი პრილეპში შევიდა 23 სექტემბერს.

სოფია. სკუმბიდან ცრნამდე ძლიერი საარტილერიო სროლაა. ცრნის აღმოსავლეთით ჩვენმა ჯარებმა მოიგერიეს სერბიელთა ჯარები. ცრნსა და ვარდარობს შორის გრძელდება სასტიკი ბრძოლა. სტრუმის რაიონში მზვერავთა შეტაკებები ხდება ბიტოლის და ცრნის რაიონში ჩვენ საარტილერიო სროლით გავრეკეთ მტრის რაზმები. ბერიხოვოს რაიონში აც მტერს უკან დავახევინეთ. ცრნის სამხრეთით სასტიკი ბრძოლა გრძელდება. გევგელის სამხრეთით ცდილობდენ ინგლისის ბატალიონები ჩვენი ბრძოლის ხაზთან მოახლოვებას. მაგრამ მოგერიებულ იქნენ. დოირანთან მტერს აღარ განუახლებია იერიშები.

მოსკოვი. ბოლშევიკების ცნობები ყველას ყველას.. მტერს, რომელსაც ვავიწროვებთ აღმოსავლეთის ფრონტზე ჯერ კიდევ საშვალება აქვს გამაგრდეს ურალზე. საბჭოთა ჯარები უკანასკნელად ვეღარ გაუმაგრდენ მრავალ-რიცხოვან მტრის რაზმებს და უკან დაიხიეს. ყველაზე მეტი მნიშვნელობა აქვს მტრის პერმის მიმართულებით წინ წამოწევას. მტრის ახლობელ მიზანს შეადგენს ეკატერინბურგის რაიონის დაპყრობა. ელტლოსიდან პერმამდე დიდი მანძილია და ადრე ზამთრის დაწყების გამო მტერი მიზანს ვერ განახორციელებს. წინეთ ჩეხო-სლოვაკები ვოლგით ცენტრისკენ მოიწევდენ, ინგლისელები კი—არხანგელსკიდან მათ ეხმარებოდენ... მოსკოვში შეთქმულებას აწყობდენ. მას შემდეგ, რაც მტერი ვოლგაზე დამარცხდა უფრო პატარა მიზანი დაისახა. ომსკი ციმბირის მთავრობის რეზიდენციაა. აქ შიკრებილა მთელი შავრაზმელობა—თავ. ლვოვის, გენ. ალექსეევის, აქსენტიევის და სხვათა მომხრენი. აქვე არის თეთრ გვარდიელთა კომიტეტი. ციმბირის მთავრობის განკარგულებით დახვრიტეს 41 ათასი მუშა თავიანთ ცოლებით და შვილებით. აკმოლინის ოლქში ყირგიზების აჯანყებაა. გაიგზავნა ყაზახები. ჩეხო-სლოვაკებს აქვთ დაკავებული ციმბირის რკინის გზა. სადგურებზე კამენდანტებათ ყველგან ჩეხები არიან.

ბუქარესტი მთელს რუმინეთში ბატონ ყმური რეჟიმი დამკვიდრდა.

ქრისტიანია. მოკავშირეთა კონფერენციაზე რუსეთის საკითხის გარჩევის დროს ლინგემ განაცხადა, რომ მისი ამხანაგები სასტიკ პროტესტს აცხადებენ რუსეთის საქმეში ჩარევის წინააღმდეგ.

ახალი ამბები

ნოე ჟორდანია ელაპარაკა პირდაპირ მავთულით ყუბანის ოლქის მთავრობის თავმჯდომარე ბიჩს. უკანასკნელმა ოფიციალურათ აუწყა საქართველოს მთავრობის თავმჯდომარეს, რომ ყუბანის ოლქში ბოლშევიკების მთავრობა დაეცა და მთელი ძალა უფლება გადავიდა იმ მთავრობის ხელში, რომელიც იყო ბოლშევიკების მოსვლამდი. ყუბანის ოლქის მთავრობა გამოსთქვამს იმედს, რომ ორივე სახელმწიფოთა შორის დამყარდება მეგობრული განწყობილება, რომ საქართველოს დელეგაცია, რომელიც გაემგზავრა ეკატერინოდარისკენ, ყველა კითხვაში შეთანხმდება ყუბანის მთავრობას. ბოლშევიკების შესახებ ბიჩი იტყობინება, რომ ისინი დაამარცხეს არმავირთან და მაიკოპთან. ეს ორი ქალაქი გადავიდა ყუბანის მთავრობის ხელში. ბოლშევიკები განდევნილი არიან ყველგან, მხოლოდ ბატალპაშინსკთან არიან გამაგრებულნი.

◆ **სოჩიდან მთავრობის თავმჯდომარემ** შემდეგი დეპეშა მიიღო: „სოჩის მოქალაქეთა საზოგადო ყრილობამ მოისმინა რა ევგენი გეგეჭკორის მოხსენება, დაადგინა: 1) ერთად ერთი ნაწილი ყოფილი რუსეთის სახელმწიფოსი, სადაც არა თუ ცნობილია სისხლით მოპოებული რესპუბლიკანური წყობილება, არამედ განმტკიცებული ძირითადი კანონებით, არის საქართველოს რესპუბლიკა; 2) იმ მიზნის მისაღწევად, რომ ყველა რუსეთის ნაწილები მოგროვებულ იქნას ერთ ძლიერ დემოკრატიულ რესპუბლიკაში, დემოკრატიამ ხელი უნდა შეუწყოს ხალხის თვითმართველობის აღდგენას, განხორციელებას; 3) სცნობს რა კრება ყუბანის ოლქთან საქონლის გაცვლის მოწესრიგებას სასურველად, მასთან ერთად ამბობს, რომ სოჩის ყუბანის ოლქთან შეერთება გააძლიერებს სამხედრო დიქტატორის უფროს, გავლენას და სოჩის ოლქის მცხოვრებთ წაერთმევათ დემოკრატიული თავისუფლებანი; 4) ოლქის თავისუფალი განვითარება, ხალხის მმართველობა, მიწის რეფორმის გატარება, დემოკრატიული მართვა-გამგეობის ფორმის შემოღება და კლასობრივი ბრძოლის კულტურული ფორმის განვითარება შეიძლება მხოლოდ იმ პირობაში, თუ ოლქი შეუერთდა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას. ამის გამო კრება გამოსთქვამს სურვილს, რომ საქართველოს მთავრობამ განსაკუთრებული დეკრეტით გამოხატოს სოჩის დროებითი საქართველოსთან შეერთება. თავმჯდომარე პეტრე იზმაილოვი".

◆ **ტფილისის მაზრის სამხედრო უწყების** უფროსი აცხადებს, რომ ყველა ისინი, ვინც ომის დაწყებამდე (19 ივლისი 1914 წლამდე) მიწერილი იყო რომელიმე ადმინისტრაციულ ერთეულს საქართველოს ტერიტორიაზე, ირიცხება საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეთ და ვალდებულია მოიხადოს სამხედრო ბეგარა საქართველოს ტერიტორიაზე. ვისაც ჯარში გასვლა უწევს უნდა გამოცხადდეს 31 სექტემბრამდე. ვინც ამ დრომდე არ გამოცხადდება, ისინი დეზერტირებათ იქნებიან გამოცხადებულნი და გადაეცემიან სამხედრო სასამართლოს.

◆ **დეზერტირები.** ჯავშნიან ავტომობილების როტის სამი ჯარის კაცი: გიორგი ჟორდანიშვილი, ერეკლი ლეშკაშელი, ლუკა ჯიჯილავა გაიქცნენ. პირველი ორი ქალ. ტფილისის მცხოვრებნი არიან, მესამე ქუთაისის გუბერ. სოფ. ბანძის.

◆ ბაქოდან ჩამოსულის სიტყვით ბაქოში დაუტუსაღებიათ შაუმიანი და ჯაფარიძე. შაუმიანისათვის სიკვდილით დასჯა გადაუწყვეტიათ, ჯაფარიძეს უგზავნიან საქართველოს მთავრობას.

◆ **ტფილისის გუბერნიის შრომის** კომისარმა შუამდგომლობა აღძრა შრომის სამინისტროს წინაშე, რომ დაარსებულ იქნას ფონდი იმ დაჩაგრულთა და დაავათმყოფებულთა დახმარების აღმოსაჩენად, რომელნიც საერობო კავშირისაგან ღებულობდენ დახმარებას, მაგრამ კავშირის ლიკვიდაციის შემდეგ არსაიდან არაფერს არ ღებულობენ. შრომის კომისარმა მიუთითა შრომის სამინისტროს, რომ ვინაიდან საერობო კავშირი იცავდა როგორც საქართველოს აგრეთვე სხვა რესპუბლიკის მოქალაქე მუშების ინტერესებსაც, ამიტომ აზერბეიჯანისა და არარატის მთავრობამაც უნდა მიიღოს მონაწილეობა ფონდის დაარსებაში.

◆ **საერობო არჩევნები.** სიღნაღის მაზრაში საერობო არჩევნები დასრულდა. ამ დღეებში სიღნაღში გაიხსნება პირველი ერობის კრება. ტფილისის გუბერნიის სხვა მაზრებში არჩევნები მხოლოდ ზოგიერთ ნაწილებში სწარმოებს. მუშაობის გამო გადადებული საერობო არჩევნები გუბერნიის ყველა ნაწილებში დანიშნულია 29 სექტემბერს.

◆ **კახეთის რკინის გზა.** 23 სექტემბერს, შუაღამისას რამოდენიმე ბოროტგამზრახველნი თავს დაესხა სად. წუკუზანს. სროლის დროს მოკლულ იქნა მგზავრი საინტენდანტოს წარმომადგენელი ობუხოვი. მოსამსახურეებმა მოურობა ასტეხეს და თავდამსხმელნი სროლით გაიქცენ. ამ საქმის გამო დაპატიმრეს ამავე სადგურის მესრე შაპორელი და სამი რემონტის მუშა ძმები ხომასურიძეები, როგორც მონაწილენი თავდასხმაში.

◆ **ქართული ლატარია.** შესდგა „ლატარიის დღეების" მომწყობი კომისიის კრება. კრებას მრავალი მანდილოსანი დაესწრო. განაწილდა უბნები, თავმჯდომარები, პროექტორები და კაფეები, საცა უნდა ბილეთები გაიყიდოს. ბევრმა ამ თავით წაიღო ბილეთები გასავრცელებლად. ქ. მინადორა ხოშტარიამ შეიძინა 25000 მ. ბილეთები.

◆ „**ლატარიის დღეების**" მომწყობი კომისია ამით აუწყებს კომისიის წევრთ, რომ, რადგან სხვადასხვა მიზეზთა გამო ლატარიის გამგეობის კანცელარია ახალ ბინაზე (გოლოვ. პრ. № 34) ჯერხანად ვერ გადადის, ამიტომ კომისიის წევრთ ვთხოვთ ბილეთების მისაღებად მობრძანდნენ პარასკევს 27 სექტემბერს, სასახლის ქ. ქარვასლა, მსახიობთა კავშირის კანტორაში.

— ლატარიის გამგეობამ დაადგინა მოგებულ ბილეთების პატრონთ მოგება მიეცეს ნაღდ ფულად და არა ჩეკებათ.

— ყველა პროექტორებმა პარასკევ საღამოსთვის სარეკლამოდ უფასოდ დაუთმეს თავისი ლენტები ლატარიის გამგეობას.

◆ **შეპყრობა.** შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებით შეიპყრეს გიორგი და დავით ბაგრატიონ-დავითაშვილები, რომან და ივანე ბეგთაბეგოვები და ალექსანდრე დეკანოზიშვილი. მათ ბრალდებათ სახელმწიფოს წინააღმდეგ მოქმედება და სპეკულიანტობა.

◆ **მილიციონერთა კრებამ დაადგინა:** ეთხოვოს ქალაქის გამგეობას, მიიღოს ზომები და ათი დღის განმავლობაში დააკმაყოფილოს მილიცია სრულიად ორი თვის ჯამაგირის მიცემით, წინააღმდეგ შემთხვევაში გამოცხადდეს გაფიცვა.

◆ **მკვლელობა.** 24 სექტემბერს საღამოს ამაღლების ქუჩაზე სარქის ასლამაზოვსა და მილიციონერს ჩხუბი მოუვიდათ, რომლის დროსაც მილიციონერმა მოკლა სარქის ასლამაზოვი. სროლის დროს მისულ გვარდიელებმა მილიციონერი დაატუსაღეს, რომელიც გზაზე გაქცევის დროს მოკლულ იქნა.

◆ **გზათა სამინისტროს** ნატანებიდან ატყობინებენ, რომ იქ მომწყვდეულა 80 დე მგზავრები, რადგანაც ოსმალეთის მატარებლის უფროსის განცხადებით მათი მატარებელი იმგზავრებს ქობულეთამდე. მგზავრებს მიუხედავად მთავრობის ნებართვისა საშუალება ესპობათ ბათუმში წასვლის. მგზავრები სთხოვენ გზათა მინისტრს მიიღოს შესაფერი ზომები.

◆ **საქართველოს საქველმოქმედო** საზოგადოებამ შეიძინა 400 ფუთი ხორბალი თითო ფუთი 15 თუმნად. ამ ხორბალს დაფქვავს საზოგადოება და ნაკლებ ფასებში დაუთმობს პურს ტფილისში მყოფ ლტოლვილებს.

◆ **ვაჭრობა მრეწველობის და ფინანსთა სამინისტრო** აცხადებს, რომ გაზეთებში მოთავსებული 16 სექტემბრის სხდომის ანგარიშები, რომელიც ფინანსთა მინისტრის გ. დ. ჟურულის თავმჯდომარეობით მოხდა, არ შეეფერება სინამდვილეს. ამ ანგარიშებში აღნიშნულია, რომ გერმანია არ ასრულებს საქონლის გაცვლა-გამოცვლის შესახებ დადებულ პირობებს. ასეთი ცნობის მიზანია ჩამოაგდოს ჩვენ და გერმანიას შორის უთანხმოება. გერმანიამ არა ერთხელ დაამტკიცა, რომ ის სავსებით ასრულებს თავის მიერ დადებულ პირობებს და მას აქვს ჩვენთან კეთილ-მეგობრული განწყობილება.

◆ **სამხედრო მინისტრი გიორგაძე** გაემგზავრა ქუთაისის გუბერნიაში ჯარების და სამხედრო უწყებების დასათვალიერებლად.

◆ **ტფილისის სამხატვრო ინსტიტუტთან** არსებულ უმაღლეს პირველ დაწყებით სასწავლებელში დაიწყო მოწაფეების მიღება. ღებენ გამოუცდელად პირველ კლასში ვისაც პირველ დაწყებითი სასწავლებელი დაუსრულებია, სხვა კლასებში ან გამოცდით, ან შესაფერი მოწმობით. სწავლის ფასი სამი თუმანია წლიწადში. სასწავლებელი იმყოფება დიდიმთავრის ქუჩაზე № 91.

◆ **ქურდობა** 24 სექტემბერს მიხეილის ქუჩაზე სოფიო ჯანდიერის სამრეცხაოდან მოიპარეს 12 ათასი მანეთის ღირებული თეთრეული.

◆ **დანიშვნა.** ს. ლ. ჟორდანია დაინიშნა სისხლის სამართლის მილიციის უფროსის თანაშემწეთ. მილიციის უფროსის ყოფილი თანაშემწე შელია კი, მესამე კომისარიატის კომისარის თანაშემწეთ.

◆ **რაპული საღამო**, რომელიც 26 სექტემბერს უნდა გამართულიყო სახალხო სახლში სხვადასხვა საპატიო მიზეზების გამო 10 ოქტომბრისთვის გადაიდო.

◆ **ლექცია.** დღეს 1-ლ რაიონის მუშათა კლუბში ამხ. რ. არსენიძე წაიკითხავს ლექციას „სოციალიზმის ისტორიაზე". დასაწყისი საღამოს 7 საათზე. შესვლა უფასოა.

◆ **მოზრდილ ქალ-ვაჟთა** (საღამოს) ქართულ გიმნაზიაში (ყაზბეგის ქ. № 18) სწავლა იწყება 28 ენკენისთვეს.

კრებები.

დღეს, საღამოს 6 საათზე ბ-ურის ბინაზე შესდგება მეორე რაიონის კოლექტივის წევრთა კრება.

— დღეს, საღამოს 7 საათზე მეექვსე სავაჟო გიმნაზიაში შესდგება მეოთხე რაიონის კოლექტივის წევრთა მორიგი კრება. პრეზიდიუმის წევრებს სთხოვენ მოვიდენ 6 საათზე.

— დღეს, საღამოს 6 საათზე კოლექტივის ბინაზე დანიშნულია მეექვსე რაიონის კოლექტივის წევრთა მორიგი კრება.

— 28 სექტემბერს პეტრე დიდის ქუჩაზე № 16 შუადღისას შესდგება მზარეულთა საერთო კრება.

პროვინციის ქრონიკა.

ყვირილა-შორაპნის სოც.-დემოკრატიული კომიტეტი აცხადებს შემდეგს: კვირას, 29 სექტემბერს, დილის 10 საათზე შესდგება ყვირილა შორაპნის რაიონის საერთო კრება. დღის წეს რიგი: 1) მოხსენება მომენტზე, 2) საერობო არჩევნები შორაპნის მაზრაში, 3) პარტიული მუშაობა, 4) მიწის რეფორმის შესახებ, 5) მოხსენება სარევიზიო კომისიისა, 6) ანგარიშები, კომიტეტის რეორგანიზაცია და მიმდინარე საკითხები.

მთავრობაში

გზათა მინისტრის მოხსენებით მთავრობამ დაადგინა: მიეცეს გზათა მინისტრს 10 მილიონიან ფონდიდან 5000 მანეთი სამხედრო რკინის გზების მართველობის საქმეების არქივის მისაღებად და გამოზიდვის ხარჯების დასაფარავად.

მიეცეს ათ მილიონიან ფონდიდან ოჩამჩირეს მახლობლად ნავის დაღუპვის დროს დაშავებულ არქიპოვსა და პოპოვს წამლობისათვის თითო ორი ათასი მანეთი.

სალიკვიდაციო შტატების შესანახად, გარდა უკვე გაღებულ თანხისა, მიეცეს გზათა მინისტრს ოცდა რვა ათასი მანეთის კრედიტი.

შინაგან საქმეთა მინისტრის მოხსენებით მთავრობამ დაადგინა: გაეხსნას შინაგან საქმეთა მინისტრს ათ მილიონიან ფონდიდან 5287 მ. 8 კაპ. კრედიტი გაზეთ „კავკაზი"-ს რედაქციის თანამშრომელთა და მისი კანტორის მოსამსახურეთა დასაკმაყოფილებლად ლიკვიდაციის გამო.

---

1) მიეცეს ქალაქ ტფილისს სესხათ მილიციის ხარჯების დასაფარავად ერთი მილიონი მანეთი იმ პირობით, თუ ეროვნული საბჭო მიიღებს დადგენილებას იკისროს ტფილისის მილიციის შესანახად ხარჯის ნაწილი, ეს თანხა გადაირიცხოს ამ დახმარების დასაფარავად; ხოლო თუ ეროვნულმა საბჭომ ეს წინადადება უარყო, იმ შემთხვევაში ხსენებული თანხა დარჩეს სესხათ სამი წლის ვადით ხუთ პროცენტიანი სარგებლით. 2) მიენდოს შინაგან საქმეთა მინისტრს მოსთხოვოს ქალაქს სათანადო დოკუმენტები და წარმოადგინოს შესაფერი კანონ პროექტი ეროვნულ საბჭოსათვის მოსახსენებლად.

ჩვენ და გერმანელები

ბედმა თუ უბედობამ დღეს გერმანიასთან დაგვაახლოვა, შეგვაკავშირა. ამ კავშირში ზოგი ჩვენი ყოფილი ამხანაგები საქართველოსათვის არაფერ კარგს არ ხედავენ. პირიქით გაიძახიან, რომ ჩვენი საქმე დაღუპულია, წაგებულია.

მაგრამ ასეთი აზრთა არევ დარევა ჩვენ მოწინააღმდეგეთა ბანაკში მოხდა არა მაშინ, როცა ჩვენ გერმანიას დავუახლოვდით, არამედ—პირველად კიდევ მაშინ, როცა ჩვენ ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობა გამოვაცხადეთ.

ამ ჩვენი სურვილის წინააღმდეგ და მოუკიდებლობის გამოცხადებამ ბევრ ამხანაგს ჭკუა-გონება აურია. განსაკუთრებით რუსი პარტიული ამხანაგები უცბათ გამოიცვალნენ.

შეგნებულათ თუ შეუგნებლათ, ნებსით თუ უნებლიეთ ისინი ნამდვილ ნაციონალისტთა ბანაკში დასკუპდენ ჯერ ამიერ კავკასიის დამოუკიდებლობამ და შემდეგ თვით საქართველოს რუსეთიდან ჩამოშორებამ ამ ტიპის სოციალ-დემოკრატებს დავთარი აურია, გზა აუბნია. საქართველო ხომ ას წელზე მეტი მონობის უღელს სწევდა და იმ გარემოებას, რომ ასს წელზე მეტია, რაც აქ ბატონობს რუსის ერი—თვით ინტერნაციონალისტ რუსს ამხანაგებს დაავიწყდათ ის ალაგი ჩვენ პროგრამაში, ის წმინდათა წმინდა ჩვენი მოვალეობისა, რომ ყველა ერს უნდა მიენიჭოს თავისუფლება—დიახ, დაავიწყდათ ეს და აი აქნამდი ვერ შერიგებიან იმ სინამდვილეს, რომ ადგილობრივი ხალხის გარდა თავის თავის პატრონი ადგილობრივი ერი ჩაუდგა სათავეში ადგილობრივ საქმეებს.

ადგილობრივი ენა გახდა უმთავრესს სახელმწიფო ენათ.

რა იყო? რა მოხდა ასეთი?

განა რაიმე მოსაზრებით, რაიმე ლოღიკით პატარა ერის დიდი ერის მონობისაგან განთავისუფლება სამარცხვინო, არა სოციალისტურია?

ადვილი გასაგებია და ჩვენც გვესმის, როცა ყველა გვარის და ჯურის ბიუროკრატ ჩინოვნიკები ჩვენ წინააღმდეგ ილაშქრებენ. ჩვენ ვიცით, რომ ამ ჩინოვნიკებმა ყველაფერი დაჰკარგეს, ჩვენ გვესმის იმათი გულის ტკივილი, სევდა და ბოღმა. მარა გაუგებარია თუ საიდან წარმოსდგა ასეთი გაუგებრობა, თვით სოციალდემოკრატებში—თვით ინტერნაციონალისტებში. ალბათ, ამათ კიდევ ვერ დაიღწიეს თავი ნაციონალისტობას. კიდევ შორს არიან ინტერნაციონალისტობისაგან. რას ნიშნავ ინტერნაციონალისტობა? უპირველესად იმას, რომ ყველა ერი ერთნაირად გიყვარდეს. სადაა მერე აქ ყველა ერის სიყვარული? ყველა ერის სიყვარული კი არა და ამ ჩვენმა ამხანაგებმა მეტი სიყვარული გამოიჩინეს იმ ბიუროკრატ ჩინოვნიკების მიმართ, რომელთაც დღეს მართლაც ჩვენში ყველაფერი დაჰკარგეს. ეს ჩვენი ამხანაგები დღეს კვერს უკრავენ და მხარს უჭერენ იმ პირთ, იმ კლასს, რომელიც ას წელზე მეტია ბატონობდა და მონობის უღელქვეშ აწვალებდა ქართველ ერს.

რევოლიუციის დროს მისმა მოკავშირეებმა მას უღალატეს: და ის მარტო დარჩა შინ და გარედ საშინელ მტრისაგან შესიულ-შემორტყმული. რა უნდა ექნა!

აშკარაა ამისთანა დროს მოწინავე პარტია მოვალე იყო გადაერჩინა დაღუპვისაგან ის, რაც გადარჩენაც კიდევ შეიძლებოდა. და აი, ამ გარემოებას მოჰყვა შედეგათ კავშირი გერმანიასთან კარგია თუ ცუდი ეს კავშირი, ეს სხვა კითხვაა, მარა ის ხომ ყველასათვის ცხადია, რომ თუ არა ეს კავშირი, დღეს ჩვენ თურქი, უკულტურო, ბარბაროსი ბატონი გვეყოლებოდა. ხოლო ხანგრძლივი გამოდგება ეს კავშირი გერმანელებთან თუ არა?

კარგი იქნება თუ დამღუპავი ეს მეგობრობა ჩვენთვის?

თავისუფლებას შევინარჩუნებთ, თუ ნაცვლად რუსეთის მონობისა თავზე მოგვეხვევა გერმანელებისაგან მონობის უღელი—ეს სრულებით ჩვენზეა დამოკიდებული. მდგომარეობას შეგნება, გათვალისწინება უნდა. ჩვენი ბედი დღეს ჩვენ ხელთ არის.

თუ მოვინდომებთ ყველანი თავისუფლება შეგვრჩება, ჩვენია.

საუბედუროთ, დღეს ამას ბევრი ვერ ამჩნევს, თუ არ ამჩნევს. ჩვენი საზოგადოების დიდი ნაწილი ისე გაიტაცა სპეკულიანტობამ, რომ გამდიდრების მეტი აღარა ახსოვთ რა. ვერ ხედავენ, ვერ გრძნობენ რა შედეგები მოყვება ამ გაუმაძღრობას.

არა ერთხელ თქმულა ჩვენს გაზეთში, რომ გერმანიისათვის უფრო ხელსაყრელია აქ შორეულ აღმოსავლეთში იყოლიოს თავისუფალი—მეგობარი ერი, ვინემ მონა დაპყრობილი.

მარა თუ ჩვენ ჩვენ თავს ვერ მოვიხმართ, თუ ჩვენ ჩვენს თავისუფლებას ვერ დავაფასებთ, ვერ მოვუვლით—თუ ჩვენ ჩვენს თავისუფლებას ვანაცვალებთ ამ ქვეყნის ჭუჭყს—ფულს, მაშინ ნურას უკაცრავად თუ ეს თავისუფლება ხელიდან გაგვიფრინდეს...

ამ დღეებში ერთ ინტელიგენტ გერმანელს ველაპარაკე. ამ გერმანელს სამხედრო წრეებთან ვიცი კავშირი აქვს...

ის მეკითხება სხვათა შორის: მყუდროება-სიმშვიდე კი ჩამოვარდა... სროლა ყაჩაღობამ იკლო, მარა სიიაფეს, ნამდვილ ცხოვრებას მოესწრობით თუ არაო.

ამაზე მე ის უპასუხე, რომ აი თქვენზეა დამოკიდებული—მოგვაწოდეთ ისეთი საქონელი, როგორც მანიფაქტურა, ფეხ და ტანთსაცმელი და მერე სასურსათო სანოვაგეც გაიაფდება მეთქი. „ჩვენ ხომ არა ვართ ხაზეინები და სახელმწიფოს პატრონიო. ამაზე თქვენ თითონ უნდა იზრუნოთო და სხვ...

აი საგულისხმიერო სიტყვები ჩემთვის: „ჩვენ ხომ არა ვართ ხაზეინები".

ალბათ ბევრ მათგანს ეს „ხაზეინობა" უნდა, მიუხედავად იმისა ეს მათთვის ხელსაყრელია თუ არა. ბევრი მათგანი ალბათ ეცდება კიდეც ანარხია სიძვირეს ჩვენში ხელი შეუწყოს. განა ცოტა ვაჭარ—სპეკულიანტი მოყვება მათ დღეს ჩვენში?

და აი ახლა გვმართებს ჩვენ ჭკუა და წინდახედულობა. მარა აქ მარტო მოწინავე პარტია, მართებულობა ვერას გახდება. აქ არის მთელი დემოკრატიის ერთი სული, ერთი აზრი და ერთი მოქმედება საჭირო.

მოვიგონოთ ისტორია, ჩავხედოთ მას. ავწონ დავწონოთ საქმე... დავივიწყოთ დროებით მაინც პირადობა, თორემ ფუჭდება საერთო ქვეყნის, ერის საქმე...

მერე გვიანი იქნება, საქმე სანანებლათ გაგვიხდება. „ხაზეინი" თავზე დაგვაჯდება, თავისუფლება ხელიდან გამოგვეცლება და რაღას გვარგებს მერე ოხვრა და კვნესა!

ვისაცა გაქვთ ყურნი სმენად ისმინეთ, სპეკულიანტებო—სპეკულიანტობას თავი ანებეთ. დემოკრატებო, ერის ერთგულნო შვილნო საერთო საქმეს ემსახურეთ. ახალ-გაზრდა ერის შვილნო, იარაღით აღჭურვილნო, სწავლულნო და მეცნიერნო, გზა ბრუდე გაგვინათეთ. მუშებს გვერდი გაუმაგრეთ, გვარდიელებს დაუძახეთ. ასე მწყობრათ თუ კი ვივლით ვინ გვიბედავს, ვინ რას გვავნებს?..

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპეკულიანტებს დავიჭერთ, გარეთ ლერებს გავამაგრებთ...

კესაშვილი.

ერმანელთა ახალშენებში

„კავკაზიშე პოსტ."-ში შემდეგი ცნო მოთავსებული:

14 სექტემბერს საღამოს 5 საათზე მა ნდორფის გზაზე ვილაც ჯარისკაცის რმაში გამოწყობილმა ავაზაკებმა გა რეს კოლონიიდან დაბრუნებული სარ ე ურემი და გულმოდგინეთ გაჩხრი ს, ვითომ იარაღს ეძებდენ. გაჩხრიკეს რეთვე ამავე ურმით თფილისში მიმა ლი ჩვენი კომისარი კონენმახერი, რო ლსაც წაართვეს 200 მანეთი ნაღდი ლი. კომისარის პროტესტზე ავაზა ებმა გაჩუმება ურჩიეს, წინააღმდეგ მთხვევაში სხვა ზომებს მივმართავთო. წლის ყმაწვილ მეურმეს ხელი არ ლეს. გაძარცვის შემდეგ ავაზაკებმა მისარსა და მეურმეს უბრძანეს თავის ს გასდგომოდენ.

პირველ სამილიციო პოსტზევე განუ ადა ეს ამბავი მილიციონერებს კომი რმა, მაგრამ მილიციონერებმა ის მოი ზეზეს, რომ ცხენები საბალახოთ ყავს გაშვებული, გამოხსენით ურმი ნ ცხენები და გამოუდგებით ავაზა სო. მეურმის ცხენები მეურმეს ეკუთვ და და არა კომისარს და რა უფლე ქონდა კომისარს სხვის ცხენები გა ეხსნა?!

ამით დამთავრდა მილიციონერებთან ლაპარაკება, ავაზაკებმა კი თავს შველეს.

ეს პირველი შემთხვევა არ არის; ასე ავაზაკობა ხშირია ჩვენსკენ.

ივნისში კოლონისტ ვილჰელმ ჰობლეს პარეს ორი მშვენიერი ცხენი და ივ სში მარიენდორფის ერთ კოლონის ვს ზვინზე გადასაფარებელი მოპარეს. ა დღისას იპარავენ ბაღებში ხილს უმწიფარ ყურძენს და მათი ასეთი ვხედობა დაუსჯელი რჩება.

ეს ვაჟბატონები ხშირად კარტოფილს ენ მიწაში და დილით გლეხს თა ი ყანა ხშირად გადათხრილი და და რიელებული ხვდება.

ამ ზაფხულის განმავლობაში 14,000 ნეთის ზარალი მიაყენეს ქურდებმა ლონისტებს და თუ ასე გაგრძელდა, ე მოიმკის კოლონისტებისაგან დამუ ვებულ ყანებს — კოლონისტები თუ ის რდები, რომლებიც ბლომათ მოიპოვ ან ჩვენს კოლონიაზე რკალივით გარ მორტყმულ ქართველ თათართა სოფ ებში.

ფარმაცევტთა ცხოვრება

„ერთობის" 188 ნუმერში მოთავსე ლია წერილი ფარმაცევტების დაუგე ლ ბის შესახებ, ავტორის აზრით ფარ ცევტები საზოგადოებას ანგარიშს არ წევენ, მათ ვერ გამოიჩინეს შორს ჭვრეტელობა და აფთიაქრებიდან გა ჭარბებულ ჯამაგირს მოითხოვენ, რაც ლოს დემოკრატიას დაეკისრება გა დასახდელათო. თამამათ შემიძლია თქვა, რომ „ძ"-ს ყალბი წარმოდგენა ქვს ფარმაცევტებზე და მათ რევოლიუ ციონურ და დემოკრატიულ შეგნებაზე. ლაპარაკოთ თვით ფაქტებმა: ყოველ ვაჭრო დარგში არის ნიხრი დემოკრა ტიულ მთავრობისგან შემუშავებული, გრამ გარდა აფთიაქისა ის არსად არ რდება ცხოვრებაში და ვაჭრის და ხელის სურვილზეა დამოკიდებული რამდენს გადაგახდევინებს ზედმეტს. ნ იცავენ აფთიაქის ნიხრს, თუ არა რმაცევტები, რაც მიეწერება მათ გნებას და ხალხის ინტერესების დაცვას. ყველასათვის ცხადზედ უცხადესია, რომ ველივე ქიმიური ნაწარმოები და სა თიაქო მედიკამენტები შემოდიოდა ზღვარ-გარეთიდან და რუსეთში ამ რგში შემოქმედება პრიმიტიულ ნია გზე დგას, მაგრამ მიუხედავათ ამისა, ც ერთი საქონელი ისეთი ხელ მი წვდომ ფასებში არ არის, როგორც წა ლი. ფარმაცევტები რომ ბაზარს ვალყურს არ ადევნებდნენ და ჯამაგი ს აღების მეტი არაფერი ინტერე სდეთ, მაშინ სიძვირე თუა ყოვლად ბუპრო, ის აფთიაქში უნდა ყოფილი , მაგრამ ეს ასე არ არის: მაგალი დ ორ შაურიანი ერთი მ ლება ზეთი რს 1 მანეთი და •5 კაპ. ქინა კაპეიკი, მოუმატებია ცხრაასი როც. საშვალო რიცხვით „მედიკამენ ებმა" მოიმატა არა უმეტესი 1000 როც. პურმა და ჩითმა კი მოიმატა 500 პროც. აქედან მკითხველი ნათ ად დაინახავს, არის თუ არა წამლები ვა საქონელზე უფრო ხელმისაწვდომი მოკრატიისთვის და უდევს თუ არა ლი ფარმაცევტებს მისი სიძვირის წი ააღმდეგ ბრძოლაში. საშვალი რიცხვი თიაქში მომუშავის ჯამაგირას ექვ ორმოცდა ათი მან., რომელიც ყავს „ძ"ს სიმართლეს არ შეიცავს. ლლარეტის აფთიაქში ათი მოსამსა რე იღებს 4500 მ რაც გამოდის სა ალო რიცხვით 450 მ. და არა 650 მ. ძ" ადარებს რკინის გზის მუშებს და რმაცევტებს: „განა შეიძლება ფარმა ცევტის და მუშის შედარება დღის ეკონომიურად უზრუნველყოფის მხრით"? გამოდის, თითქოს ფარმაცევტი მუშა არ იყოს, უზრუნველყოფილი ცხოვრება ქონდეს და ფუფუნება-განცხრომაში ატარებდეს დროს, იშვიათია ისეთი ფარმაცევტი, რომელსაც ჯამაგირი უპირველეს მოთხოვნილებისათვის საზარჯოთ თვის ბოლომდე ყოფნიდეს და წინდაწინ არ იღებდეს. ფარმაცევტები, საერთო მასშტაბით რომ ვიანგარიშოთ დღემდი იღებენ საშვალო რიცხვით 500—550 მ. რკინის გზის მუშა კი 300—350 მ. და იმავე დროს უკანასკნელთ გირვანქა პური ეძლევათ 50 კ. ექიმი, წამლობა, მიმოსვლა უფასოთ და სხვადასხვა პრივილეგიები. ფარმაცევტი კი გირვანქა პურში აძლევს 4 მ. და არავითარი პრივილეგიებით არ არის აღჭურვილი. და თუ ფარმაცევტს ოჯახი ყავს სარჩენი, მაშინ პურის ფულათაც არ ეყოფა თვის ჯამაგირი. „ძე" ვერ შერიგებია იმ აზრს, რომ ფარმაცევტებმა მოთხოვნილება წარადგინეს. და ის კი არ იცის, რომ ლოიალურად იქცევიან და ყოველთვის ყველაზე ბოლოს თხოულობენ: „როგორ შეიძლება 500 მ. მოემატოთ წამალი გაძვირდება და დემოკრატიას დააწვება კისერზეო". ერთი უნდა შევეკითხო „ძე"ს: რკინის გზას რომ 200—300 პროც. მოემატა და ტრამვაის 5 კ ბილეთი 75 კ. გახდა, განა ბურჟუაზიის ჯიბიდან ამოდის ეს ფული? კარგი იქნება, რომ „ძე" გვიშვამდგომლებდეს და მოაცემინებდეს პურს იმავე ფასებში, რა ფასებშიაც მიეცემათ რკინის გზის მოსამსახურეებს, მაშინ 500 მ. თავს დავანებებთ და ჩვენც 240 მ. მომატებით დავკმაყოფილდებით.

ფარმაცევტი ი. დოლიძე.

საქეიფო ადგილი

23 სექტემბერს, დაახლოვებით დილის 8 საათზე გოლოვინის პროსპექტი მეტად არაჩვეულებრივ სცენას წარმოადგენდა, სახელმწიფო თეატრის პირდაპირ „ტროტუარზე" ნელი ნაბიჯით და დაფა-ზურნის თამაშით მოდიოდა სამი ჯარისკაცი, ცოტა დაშორებით მათ უკან მისდევდა ბარბაცით და ზლაზვნით ღვინით გალეშილი ათამდე, სხვა და სხვა „ჩინის" აფიცერი ეს უკანასკნელები საშინელი ყიჟინით და ღრიალით მთელს ქუჩას იკლებდენ და თავიანთი ქცევით მთვრალ ყარაჩოღელ-კინტოებს უფრო მოგაგონებდენ, ვიდრე აფიცრობას. სცენა ნამდვილი ავლაბრული ტიპისა იყო, მხოლოდ პრუწყიალა პაგონებს შეჰქონდა ამ მთლიან სურათში დისონანსი.

ადგილ ადგილ აფიცრები აჩერებდენ ზურნას, მართავდენ წრეს და მხიარულ ცეკვა თამაშს აჩაღებდენ. ქუჩაში მოსეირნე ცნობის მოყვარე ხალხი სქელი რკალით ერტყმებოდა მათ გარს და ა/ც, კეთდებოდა ისეთი უზარმაზარი წრე, რომ ადამიანს შევლა უძნელდებოდა. ვინ იცის როგორი დამცინავი სიტყვები არ ისმოდა ამ დროს მაყურებელ ხალხში საქართველოს რესპუბლიკისა, მისი ჯარისა და აფიცრობის მისამართზე.

განსაკუთრებით ცნობის მოყვარეობით აცქერდებოდენ ჩვენს მოქეიფე აფიცრობას გერმანელი ჯარისკაცები და სამხედრო პირები და ირონიული ღიმილით აცილებდენ მათ. დინჯსა და წესიერების მოყვარე გერმანელს, ალბათ, ვერ წარმოედგინა, თუ თფილისის უმთავრეს ქუჩაზე ასეთი თავზე ხელაღებული ქეიფობა იქნებოდა შესაძლებელი და ისიც აფიცრების მიერ.

მაგრამ ყველაზე უფრო სამწუხარო და სავალალო ის იყო, რომ ამ დროს მთელს გოლოვინის პროსპექტზე არ ჩანდა არც ერთ წესიერების დამცველი მილიციონერი; არ აღმოჩნდა აგრეთვე კერძო პირიც, რომელსაც გარნიზონის უფროსისთვის შეეტყობინებია ეს ამბავი. გარნიზონის უფროსმა ალბათ დღესაც არ იცის, თუ რა უწესოებას ახდენენ მისი ოფიცრები ქუჩებში.

მოქეიფეთა ხროვამ თავისუფლად გაიარა მთელი გოლოვინის პროსპექტი და გავიდა ოლღის ქუჩაზე. ალბად, ასე უვნებლად გაივლიდენ დანარჩენ ქუჩებსაც.

სანამდე უნდა გაგრძელდეს წესრიგის დამცველთა ასეთი უმოქმედობა და დაუდევრობა?! X.

განათლების მინისტრის საყურადღებოთ

(წერილი ხონიდან)

როგორც ხონის სავაჟო გიმნაზიის დირექტორმა გადმოგვცა, მას სამინისტროდან მიუღია ცნობა, რომ ქართული ენის მასწავლებლათ აღნიშნულ გიმნაზიაში მიმდინარე წლის 1 იანვრიდან დამტკიცებულნი არიან: ამავე გიმნაზიის კლასის დამრიგებლის თანაშემწე გიორ. მირ. ბერიძე და მღვდელი ივანე რუხაძე.

გ. ბერიძეს დამთავრებული აქვს კურსი ხონის საოსტატო სემინარიაში; რამდენიმე წელს სოფლის მასწავლებლათ იმსახურა, შემდეგ დანიშნულ იქნა ხონის გიმნაზიაში კლასის დამრიგებლის თანაშემწეთ და დროგამოშვებით ასწავლიდა სუფთა წერას და დაბალ კლასებში ქართულ ენას. ეს იმ დროს იყო, როდესაც ქართული ენა აბუჩათ იყო აგდებული და მთავრობისათვის სულ ერთი იყო, თუ ვინ ასწავლიდა ამ არა სავალდებულო ენას.

მღვდ. ი. რუხაძე ხონის გიმნაზიაში მოწვეულ იქნა, როგორც თავისუფლად დაქირავებული მასწავლებელი ქართული ენისა 1916 წელს. იმ ხანებში ამ ენის ცოდნას ყურადღებას არავინ არ აქცევდა და, რა ცოდნის პატრონიც არ უნდა ყოფილიყოს მასწავლებელი, სულ ერთი იყო ქართული ენის კურსიც არას წარმოადგენდა.

დღეს ბერიძე და მღვ. რუხაძე გიმნაზიის სრულუფლებიან მასწავლებლებათ არიან დამტკიცებული და ამ მტკიცების ძალით უფლება აქვთ გიმნაზიის ყველა კლასებში ასწავლონ ქართული ენა. ჩვენ გადაჭრით ვაცხადებთ, რომ არც ერთ მათგანს არა აქვს შესაფერი ცოდნა. დღეიდან ჩვენს სასწავლებლებში ქართულ ენას უმთავრესი ადგილი უკავია და ამ უკანასკნელის მასწავლებელი აღჭურვილი უნდა იყოს ყოველმხრივ განვითარებით და ქართული ლიტერატურის, მწერლობის ზედმიწევნით ცოდნით. ამ მხრივ ვერც ერთი მათგანი ვერ დააკმაყოფილებს მოთხოვნილების მესედსაც კი.

მეორეს მხრივ, ყურადღების მიქცევის ღირსია ის გარემოება, რომ აღნიშნული პირები ამ თანამდებობაზე დამტკიცებულნი არიან 1 იანვრიდან, ეს კი მოითხოვს ღარიბ გიმნაზიის კასიდან რამდენიმე ათას მანეთის გაღებას: 1 იანვრიდან დღემდი ბერიძე იღებდა ჯამაგირს, როგორც კლასის დამრიგებელი, მღვდ. რუხაძე, როგორც თავისუფლად დაქირავებული შტატს გარეშე მყოფი მასწავლებელი. ახლა კი, რაკი ისინი დამტკიცებული არიან 1 იანვრიდან, უნდა მიიღონ გიმნაზიიდან დამატებით ის განსხვავება, რომელიც არის გიმნაზიის შტატში მყოფ მასწავლებლის ჯამაგირსა და იმ ჯამაგირისა, რომელსაც ზემოთ აღნიშნული პირები იღებენ. ეგ განსხვავება კი, როგორც ზევით აღვნიშნეთ, რამდენიმე ათას მანეთს შეადგენს. ამნაირათ გიმნაზია, და ისიც ღარიბი, უნდა დაზარალდეს.

ჩვენ ღრმათ ვართ დარწმუნებული, რომ განათლების მინისტრი შეცდომაშია შეყვანილი ვიღაცის მიერ, წინააღმდეგ შემთხვევაში ამ ფაქტს, რომელიც დიდ მითქმა მოთქმას იწვევს ხონში, ადგილი არ ექნებოდა.

ჩვენ გვწამს, რომ ამ შენიშვნას ყურადღებას მიაქცევს განათლების მინისტრი და შესაფერ განკარგულებას მოახდენს. ჩვენის აზრით პასუხი უნდა მოეთხოვოს იმასაც, ვინც ინება მინისტრის შეცდომაში შეყვანა და ისეთი საქმე ჩაიდინა, რომელიც სავალალო მდგომარეობაში აგდებს, როგორც ქართული ენის სწავლების საქმეს აღნიშნულ გიმნაზიაში, ისე ამ უკანასკნელის ღარიბ კასას.

ამ გარემოებას ყურადღება უნდა მიაქციოს და ანგარიში გაუწიოს აგრეთვე გიმნაზიის პედაგოგიურმა საბჭომ და განსაკუთრებით ხონის ქალაქის თვითმართველობამ.

ჩვენ გვჯერა, რომ შეცდომა დროით იქნება გასწორებული.

პ. ივანიძელი.

პავლე ვიგორგინის ხსოვნას

ძვირფასო ამხანაგო პავლე! შენმა უდროო სიკვდილმა შავის ძაძით შემოსა მთელი სადგურის რაიონის სახალხო გვარდიის შტაბი.

შენმა სიკვდილმა ღრმა მწუხარების ბეჭედი დაასვა გულზე ყველა შენს ამხანაგს გვარდიელებს და დასტირიან შენს ცხედარს ცხარე ცრემლით.

ამხანაგო პავლე, შენ არ დაგაცადა წყეულმა სიკვდილმა მიგეღწია დასახულ მიზნისთვის და გენახა გაბედნიერებული დემოკრატიული სამშობლო.

ძვირფასო ამხანაგო! შენი მიზანი იყო უსამართლობასთან ბრძოლა და ამ ბრძოლით მოპოვება დიდებული დღესასწაულის და განხორციელება სოციალიზმის, მაგრამ ბედმა გიმტყუნა და 15 ენკენისთვეს შესწირე შენი ნორჩი სიცოცხლე.

ფიცსა ვსდებთ ამხანაგო პავლე, შენს ცხედართან, რომ ის დროშა, რომელსაც შენ მოჰკიდე ხელი და გამოგვიძეხ წინ, ისევ ბედნიერათ გამარჯვებული დავაბრუნოთ საქართველოს დედა ქალაქ თფილისში, როგორც არა ერთხელ დაბრუნებულა ბრძოლის ველიდან და შენს იდეალს და წმინდა გრძნობას არ უღალატებთ, ერთგულად ვიბრძოლებთ უკანასკნელ სისხლის წვეთამდის, რათა მივაღწიოთ იმ მიზანს, რასაც შენ ეტრფოდი და გავწმენდოთ საქართველოს ტერიტორიას იმ მოწამლულ ატმოსფეროსაგან, რომელმაც მრავალათ შეიწირა შენსავით თავდადებული მებრძოლნი.

შენ განქრი ფიზიკურად ამ ქვეყანაზე, მაგრამ ცოცხალი ხარ შენ ამხანაგების გულში.

გვარდიელი ჩობანოვი.

ამხანაგო პავლე! შენმა უდროოთ სიკვდილმა შავი ხეწარი გადაგვაფარა მთელს შენს ამხანაგებს,—გვარდიელებს, ცრემლად იღვრება მეოთხე როტის გვარდიელები და ჩვენთან როტის უფროსი ამას სტირის ამხანაგო პავლე. რამდენი ხანი ერთად ვიყავით და ეხლა კი უკანასკნელად მოკლე სიტყვებით გემშვიდობები.

იახონ გიოხ ძე ჩიხლაძე.

პოდ. ლ. ქ. წილოსანი.

18 აგვისტოს ლანჩხუთში ბოროტმა ხელმა სიცოცხლეს გამოასალმა ჯერ კიდევ ახალგაზრდა ჯანღონით სავსე მუშაკი ლადიკო წილოსანი.

ვინ იყო ლ. წილოსანი?

ის იყო ჯარისკაცი, რომელმაც 8 წელიწადი გაატარა სამხედრო სამსახურში, მონაწილეობას ღებულობდა სხვადასხვა ფრონტებზე, გმირობისთვის დაჯილდოვებული იყო 4 გიორგის ჯვრებით.

1918 წ. მარტის პირველ რიცხვებში ის ბრუნდება თავის სამშობლოში, მაგრამ ვერც აქ პოულობს მშვიდ ცხოვრებას. ეს იმ დროს იყო, როცა ჩვენი ჯარები გამოდიოდენ ტრაპიზონიდან. ლადიკო აგროვებს მოხალისე მუშებს და მიჰყავს ტრაპიზონში და იმათი დახმარებით გამოაქვს ერთი გემი სხვადასხვა დაწესებულებების სახაზინო ნივთები, რომელსაც აბარებს ბათუმში სადაც ჯერ იყო.

ერთი კვირის შემდეგ ბათუმს შემოესია ოსმალო. ლადიკო ხედავს სამშობლოს გასაჭირს და საჩქაროდ მიდის ლანჩხუთში და ღებულობს მონაწილეობას ლანჩხუთის რაზმის შედგენაში და რაზმთან ერთად მიეშურება ფრონტისაკენ, რომელიც იჭერს პოზიციას ჩაქვის თავზე.

აქაც დიდ ენერგიას იჩენს ლადიკო ბრძოლაში, რისთვისაც კიდევ წარდგენილ იქნა ჯილდოზე. ბათუმის დაცემის შემდეგ ის ბრუნდება ლანჩხუთში და ინიშნება ქალაქის კომისრად.

მაგრამ 18 აგვისტოს მთვრალმა, უგუნურმა პირებმა დარიგების დროს, როცა ის წესიერებისაკენ მოუწოდებდა, ტყვიით სიცოცხლე მოუსპეს ჩვენს ძვირფას მებრძოლს.

მშვიდობით ძვირფასო ამხანაგო ლადიკო! დაუვიწყარი იქნება ის ღვაწლი, რომელიც შენ მიგიძღვის სამშობლოს წინაშე და დაუვიწყარი იქნები შენ ამხანაგებში.

მე 4 № ჯავშნიან მატარებლის რაზმი.

რკინის გზის მუშა-მოსამსახურეთა ყრილობა

22 სექტემბრის სხდომა.

მეგრელიშვილი კითხულობს კავშირის წესდების პროექტს. შრომის მინისტრის ამხანაგს გ. ერაძეს წესდებაში შეაქვს შემდეგი შესწორებები: გაფიცვის საკითხი წყდება ყველა მოსამსახურეების ორი მესამედი ხმით, გაფიცვის გატარების წესს იმუშავებს კავშირის ცენტრალური მმართველობა. გაფიცვის დროს მოსამსახურეებს არ უნდა წაერთოთ ბინა, განათება, შეშა, წყალი და სხვ. უმაღლეს ადმინისტრაციის პირთა მიღება და დათხოვა წარმოების პატრონის საქმეა, მაგრამ კავშირს ეძლევა უფლება მოითხოვოს მათი დათხოვა, თუ მათ დაუმტკიცდება შემდეგი ბრალდებანი: 1) შრომის დაცვის კანონების ან კოლექტიური ხელშეკრულობის დარღვევა. 2) შეურაცყოფა მოსამსახურის ხელით ან სიტყვით. ყველა ეს ბრალდებანი უნდა დაუმტკიცდეს მომრიგებელ კამერაში, ან შრომის სასამართლოში.

დაბალ ადმინისტრატიულ პირთა მიღება და დათხოვის უფლება ეძლევა წარმოების პატრონს. მუშებს ეძლევათ უფლება მოითხოვონ მათი ალაგიდან დასაბუთებულათ გადაყვანა მიღების დროს. ამ კატეგორიის პირთა დათხოვნის დროს მუშებს აქვთ კანტროლის უფლება. ყრილობა იღებს ამ შესწორებებს. ფერაძეს შეაქვს წინადადება, რათა მოსამსახურეთა ინტერესები უკეთ იქნენ დაცულნი საჭიროა, რომ გზაზე მომხდარ უბედურ შემთხვევების გამომძიებელ კომისიებში ადმინისტრაციის წარმომადგენელთან ერთად მიიღონ მონაწილეობა კავშირის წარმომადგენლებმაც. ეს წინადადება კრებამ მიიღო.

გზათა უფროსი ა. კანდელაკი აკეთებს მოხსენებას სახელმწიფო ენის შემოღების შესახებ. სახელმწიფო ენის შემოღებას დაედო საფუძვლად ორი პრინციპი: შემოღება სახელმწიფო ენის თანდათან ისე, რომ გზაზე საქმე არ გაფუჭდეს და მიეცეს ამასთანავე დრო იმათ, ვინც არ იციან ქართული ენა—შეისწავლონ. ყრილობა იღებს შემდეგ რეზოლიუციას: „ამ ჟამათ სახელმწიფო ენის შემოღებას ყრილობა სცნობს ნაჩქარევად და ანდობს კავშირის ცენტრალურ გამგეობას და ადმინისტრაციას შეუდგნენ თანდათანობით სახელმწიფო ენის შემოღებას გზაზე, იქონიონ რა მხედველობაში, რომ ქართულის არ მცოდნე ამხანაგებს შეძლება ექნებათ თანდათანობით შეისწავლონ სახელმწიფო ენა".

კრება გადადის სურსათის საკითხზე. მომხსენებელია ათაბეგი. სურსათის საკითხი ითვლება იმ მთავარ ღერძათ, რომლის ირგვლივ ტრიალებს სახელმწიფოს ბედი. რუსეთის ძველი წესწყობილების დამხობა სურსათის კრიზისმა გამოიწვია. ყველა მოქალაქე ვალდებულია მთელი თავისი ძალ-ღონით ხელი შეუწყოს სურსათის კრიზისის განელებას. თუ სურსათის საქმე გამწვავდა, რკინის გზა დაინგრევა, მუშაობა შეფერხდება. ეს უნდა იქონიოს რკინის გზის დემოკრატიამ მხედველობაში და სურსათის საქმის გასაძღოლათ საუკეთესო პირები ამოირჩიოს. მთავრობა იძულებული იყო პურის კრიზისის თავიდან ასაცილებლათ გამოეცხადებია პურის თავისუფალი ვაჭრობა. ამის შემდეგ ბაზარზე პური გაჩნდა, მაგრამ სიძვირეს არაფერი ეშველა, პური გირვანქა 4 მ 50 კაპ. იყიდება. თავისუფალმა ვაჭრობამ მიგვიყვანა სპეკულაციამდე. თავისუფალმა ვაჭრობამ გააუმჯობესა შეძლებულ კლასთა მდგომარეობა. მათ საშუალება ეძლევათ რამდენიც სურთ, იმდენი პური შეიძინონ. თავისუფალ ვაჭრობამ გააჩინა პური, მაგრამ ფასის დაწევის მაგიერათ, ერთი ასათ აიწია. საჭიროა მთავრობამ ძალდატანებითი ზომებით აიღოს პური თავის ხელში, რადგან რასაკვირველია, საქართველოს არ ეყოფა თავისი პური. საჭიროა პურის სხვა ქვეყნიდან შემოტანა. ამ მხრივ სანუგეშო ცნობებია მთავრობისა. უკვე გაგზავნილი არიან მთავრობის რწმუნებულნი პურის შესაძენათ. და ვგონებ მალე შემოიტანენ პურს. სურსათის საქმის მოწესრიგება მეტად ცუდ პირობებში იყო რკინის გზაზე. საქართველო კუნძულს წარმოადგენდა, რომელიც მოწყვეტილი იყო მთელს ქვეყნებს. შეუძლებელი გახდა პურის შეძენა ჩრდილო კავკასიიდან. ზოგიერთნი ამტყუნებენ ამხ. თავდიშვილს, რომელიც უდგას სათავეში სურსათის საქმეს. ამხანაგი თავდიშვილი სულით და გულით მოწადინებულია გაანელოს როგორმე სურსათის კრიზისი, იგი მთელ თავის ენერგიას ამ საქმეს ანდომებს, მაგრამ თუ მიზანს სავსებით ვერ მიაღწია, ეს მისი ბრალი არ არის. სურსათის კომისიას პურის შეძენა ადგილობრივ ბაზარზე უხდება.

ჩვენი გლეხი არ ყიდის პურს ხალასით. მას საკმაო ფული აქვს და პურს მხოლოდ-საქონელზე თუ გაგიცვლის. სოფლისთვის საჭირო საგნები ჩვენ არ მოგვეძებნებოდა, საჭირო შეიქნა ამ საგნების შეძენა, რათა შემდეგ პურზე გადაგვეცვალა. სასურსათო კომისიამ განიზრახა თითონვე მოეწყო სურსათის შემოტანა უკრაინიდან, მაგრამ საქმე შეფერხდება. მარტო ფული არ კმაროდა, საჭირო იყო აქაც საქონლის გაცვლის სისტემით სარგებლობა. საჭირო იყო მთავრობის ნებართვა, საქონლის შეძენა, გამოცდილ პირთა მოძებნა და სხ. ამავე დროს სასურსათო კომისიამ გაგზავნა თავის რწმუნებულნი სოფლებით პურის შესაძენათ მაგრამ გლეხები პურს საზღაპრო ფასებს ადებენ, რომლის გაღებაც რკინის გზის დემოკრატიას არ შეუძლია. შეიქნა უიმედო მდგომარეობა, მაგრამ დემოკრატიამ იმედი მაინც არ უნდა დაკარგოს უკეთეს მომავალზე. შესაძლებელია მთავრობამ მალე შესძლოს პურის შემოტანა და კრიზისი თავიდან აგვაცილოს. ამ ჟამად სურსათის კომისიას პური არ აქვს—ვაი-ვაგლახით შოულობთ ყოველ დღე იმდენ პურს, რაიც აუცილებელ საჭიროებას შეადგენს ჩვენთვის. უკანასკნელ მომატებამდე მთავრობა ფარავდა იმ დეფიციტს, რომელიც კომისიას პურზე ჰქონდა. დეფიციტი უდრიდა დღეში 25,000 მან. ჯამაგირების მომატების შემდეგ მთავრობამ დახმარებაზე უარი გვითხრა. საჭიროა ყრილობამ იქონიოს მსჯელობა ამ საგანზე და გადასწყვიტოს, თუ რა გზას დავადგეთ მომავალში. სასურსათო კომისიას არ აქვს შეძლება აძლიოს პური მოსამსახურეებს ათ შაურათ გირვანქა. ეს მიიყვანს კომისიას სრულ გაკოტრებამდე მეორე მხრით რკინის გზებს არ ექნება შეძლება იყიდოს პური იმ ფასათ, როგორც ის უღირს სასურსათო კომისიას, ე. ი. სამ მანეთ ნახევრად გირვანქა. სასურსათო კომისიას აქვს განზრახვა მოაწყოს კოოპერატივები და მაღაზიები. ერთი ასეთი მაღაზია უკვე გახსნა კომისიამ. სასურსათო კომისიამ მოაწყო აგრეთვე წისქვილები, რადგანაც ქალაქის წისქვილები არაა საკმაო. სასურსათო კომისიას სურდა აგრეთვე დახმარებოდა მოსამსახურეებს ფეხსაცმელების ფაბრიკის და საპონის ქარხნის გახსნით. პომიდორის კულტურამ უკვე შესაფერი ნაყოფი მოიტანა. მოსამსახურეები პომიდორს ორჯერ იაფათ ყიდულობენ ქალაქის ფასებთან შედარებით. ცხადია, იყო დეფექტები და შეძლება ბოროტ მოქმედებაც. ასეთ დიდ საქმეში ძნელია მათი თავიდან აცილება.

ექვსი თვის განმავლობაში „ობოროტი" კომისიისა 42 მილიონი ყოფილა. ზარალი კი არ აღემატება 1 ნახევარ პროცენტს. კაპიტალს მიემატა 1,300,000 მან. დასასრულ ათაბეგი აღნიშნავს თუ რა საზარალო მოქმედებაა რაიონულ კომიტეტთა ხელმძღვანელთა ხშირი გამოცვლა, რომელთაც მინდობილი აქვთ სასურსათო საქმე. ახალ არჩეულ პირებს ხელახლა უხდებათ საქმის შესწავლა, საჭიროა დიდი ხნით გაჩერება სასურსათო საქმის ხელმძღვანელთა თავიანთ ადგილებზე. ანდა მიენდოს ეს საქმე არჩეულ კაცებს კი არა, არამედ სპეციალისტების თავმდებობით. კომიტეტს კი დაუტოვოთ სასტიკი კანტროლის უფლებაო.

საადგ.-მამულო რეფორმა

სოფ. ბულაჩაური (დუშეთის მაზრა). იმ ერთი თვის შემდეგ, რაც მუშაობა შესწყდა დუშეთის მაზრაში არეულობის გამო, ჩვენი მიმღები კომისია ისევ გაემგზავრა სოფ. ბულაჩაურის მამულების მისაღებად. კომისიამ შესძლო ჩამოერთვა და მიეღო მამულები შვიდ მემამულეთაგან სახელდობრ: 1) შალვა სულხანის ძე მაგრაძულისაგან სამოცდა თორმეტი დესეტინა და 2300 კ. ს. (72 დ. 2300 კ. ს.) 2) ძმ. წოწკოლაურებისაგან და სხვ. ორას ოთხმოცდა ათი დესეტინა და 2240 ოთხ. საჟ. (290 დ. 2210 ო. ს.) 3) მარია ბარდეზიმას ასულ ბაგრატიონ მუხრანსკისაგან—ხუთას სამოცდა თერთმეტი დესეტინა და 580 ოთხ. საჟ. (571 დ. 580 ო. ს) 4) მწითური და ბაიაშვილებისაგან—ორას ოცდა ერთი დესეტინა და 1800 ოთხ. საჟ. (221 დ. 1800 ო. ს.) 5) რამაზ გერმანეს ძე ხიმშიაშვილის მემკვიდრეებისაგან—ორას ოთხმოცდა ცხრამეტი დესეტინა და 1430 ოთხ. საჟ. (299 დ. 1430 ო. ს.) 6) ნიკოლოზ გიორგის ძე ხიმშიაშვილის მემკვიდრეებისაგან—ორი ათას ცხრაას ოცდა ოთხი დესეტინა და 880 ოთხ. საჟენი. (2924 დ. 880 ო. ს.) 7) რევაზ ივანეს ძე ხიმშიაშვილის მემკვიდრეებისაგან—ხუთას სამოცდა თორმეტი დესეტინა და 20 ოთხ. საჟენი (572 დ. 20 ო. ს.) სულ ზომით—ხუთი ათას ას ორმოცდა თორმეტი დესეტინა და 2050 ოთხ. საჟ.—(51 2 დ. 2050 ო. ს.).

საერთოდ აღსანიშნავია ის დაბრკოლებანი, რომლებიც კომისიას ხლებოდა მუშაობის დროს, როგორც მემამულეთაგან, ისე თვით გლეხებისაგანაც. მემამულეები, რომლებსაც მამული ერთმეოდათ, არავითარ ცნობებს და საბუთებს თავის მამულებისას არ იძლეოდენ. არ ყოფილა ისეთი მაგალითი, რომ მათ რაიმე საბუთები წარმოედგინათ და ამ მხრივ კომისიის მუშაობა ძალიან ჭიანურდებოდა.

მეორეს მხრივ, თვით გლეხებიც, თითქმის უნდობლობის თვალით გვიყურებდნენ, ზოგიერთი არამკითხე პირების გავლენით, რომლებიც ცუდ ხმებს ავრცელებდნენ კომისიაზე, მაგალითად: „ესენი ტყუილი ზემლამერები არიან, ქალაქიდან იმისთვის ჩამოსულან, რომ აქ პური არ იშოვებონ" და სხვა აგეთები. ზოგიერთი პირები გარეკითაც კი იმუქრებოდნენ: „ჩვენ ხალხნი არა ვართ, რომ ამათ ვერ გავრეკავთ აქედან, როგორც უწინდელ კომისიასო".

მაგრამ ამის მიუხედავათ მაზრის კომისარის ლანდიას დახმარებით კომისიამ შესძლო განეგრძო მუშაობა და კიდეც სასურველად დაამთავრა. გლეხები ბოლოს მიხვდნენ, რომ ჩვენ არ ვიყავით „ტყული ზემლამრები" და უფრო თანაგრძნობით გვეპყრობოდნენ. კომისია ეხლა გადადის უანკალის და კუბრიანთ კარის მამულების მისაღებათ.

გიო.

ს.-დემ. პარტიაში

ხუფსის ს.-დ. ორგანიზაციას ფულით დახმარება აღმოუჩინეს: ალექსი ლომთათიძემ 15 მან., ბიქტორ ცინცაძემ, დანიელ გუჯაბიძემ, პართენ გძელიძემ, ლადიკო სარჯველაძემ, ესე გოგუაძემ, ვლადიმ ძიმისტარიშვილმა, ანანი ანდღულაძემ და კალისტე გუჯაბიძემ ათ-ათი მანეთი, ყარამან გუმბარიძემ შვიდი მანეთი, ოქროპილ ჭანტურიამ და დომენტი ნიკოლაიშვილმა ექვს-ექვსი მანეთი, ლევანტი თევზაძემ, ბიკტორ ნიკოლაიშვილმა, ივანე ფუფხაძემ, მელიტონ ლოლაძემ, სერაფიონ მოისრაფეშვილმა, მიხაკო ვასაძემ, ილიკო მგელაძემ, იაკობ ჯაჯიეშვილმა, სანდრო მითაიშვილმა, ლადიკე როყვამ, სამსონ ტულუშმა და სილიბისტრო ურუშაძემ ხუთ ხუთი მანეთი, ნიკო მგალიძემ, ავთანდილ გურგენიძემ და პართენ მურვანიძემ სამ სამი მანეთი, სიდონ მურვანიძემ 2 მ. 50 კ., ათანასე ვარაძემ და მიხაკო კუპრაძემ თითო მანეთი. სულ 188 მ. 50 კ.

სუფსის კოლექტ. მდივანი
ბ. ჭანტურია.

მუშათა შორის

კახელ მევენახეთა საზოგადოება „კახეთი". 20 სექტემბერს შესდგა კრება ადგილობრივ მუშა-მოსამსახურეებისა. კრებას 8 საკითხი ჰქონდა გასარჩევი, მაგრამ ვერც ერთი-ვერ გაარჩია. საუბედუროთ ჩვენდა მუშების დიდი უმრავლესობა კრებაზე მთვრალი გამოცხადდა. მოწინავე ამხანაგების ვალია ებრძოლონ მუშებში ასეთ მოვლენას, საჭიროა აქ დაარსდეს პარტიული „იაჩეიკა" და შიგ

შეგნებული მოწინავე მუშების მუშაობა, რომ შემდეგში აღარ განმეორდეს ის, რაც აქ 20 სექტემბერს მოხდა. ხშირია აქაურ მოწინავეთა შორის კინკლაობა, რაც არ ახდენს კარგს გავლენას დანარჩენ მუშებზე. ისინი ხედავენ, რომ მოწინავე მუშები ვერ მორიგებულან მათ შორის აღარ აქვთ და იქ არავითარ ორგანიზაციაზე ლაპარაკი არ შეიძლება. საჭიროა შეთანხმებული მუშაობა.

ბ. გურისტელი.

ღვინის სარდაფებში მომუშავე მამაკაცებმა უკმაყოფილება განაცხადეს შრომის სიმძიმის გამო, რომ ქალები ღვინის გადასხმაზე მუშაობდენ. მათი მოთხოვნით ქალები უნდა მუშაობდენ მარტო ბოთლების წმენდაზე და ბანდეროლების გაკეთებაში. ამის გამო შესდგა კომისია თფილისის გუბერნიის შრომის კომისრიის, ექიმისა და პროფესიონალური კავშირის წარმომადგენლებისაგან. კომისიამ 16—17 და 18 სექტემბერს იქონია ამ საგანზე თათბირი და დაადგინა, რომ ქალებსა და მამაკაცებს შორის არ უნდა იყოს განსხვავება და ამიტომ ღვინის გადასხმაში ქალების მუშაობა შესაძლებლათ იცნო, მაგრამ ამასთანავე კომისიამ აუცილებლათ სცნო მათი შრომის პირობებისა და გიგიენური მდგომარეობის გაუმჯობესობა. მათ უნდა მიეცეს წინსაფარები, საექიმო დახმარებები და სხვა. 20 სექტემბერს შემდგარ იმავე კომისიის თათბირი ისევ იმ აზრს დაადგა როგორც 16—17 და 18 სექტემბერს.

18 სექტემბერს, შინაურ მრეწველობის კომიტეტისა და მუშებს შორის მომხდარ კონფლიქტის მოსაწესრიგებლად, შესდგა თათბირი თფილისის გუბერნიის შრომის კომისარის ამხ. ელბაქიანის თავმჯდომარეობით. თათბირში მონაწილეობას იღებდენ ზემოაღნიშნულ ბიუროს კომიტეტის წევრები, სარევიზიო კომისიის წევრები და კომიტეტის ქარხნის ყველა მუშები. გასარჩევი იყო შრომის ქირის დაწესება, დასაჩუქრება იმ შემთხვევაში, თუ რაიმე მიზეზით მუშაობა შესწყდა და საექიმო დახმარება. თათბირზე მიღებულ იქნა შემდეგი: იმ მუშებს, რომლებსაც 200 მანეთი ეძლევა, მიემატოს სამუშაო ქირის 100 პროც. ვისაც 201—300—მიემატოს 80 პროც.; ვისაც 301—400—მიემატებათ 70 პროც. და 401 მან. მეტი ვისაც ეძლევა შათ მიემატება 60 პროც. ერთდროული დახმარება კი მიეცემათ მუშებს—ორი თვის ჯამაგირი.

მეორე საკითხის შესახებ თათბირმა პრინციპიალურად მიიღო, რომ მუშაობის შეჩერების დროს მათ მიეცეთ დახმარება, მაგრამ თუ რამდენი უნდა მიეცეთ, ეს კითხვა ჯერ ღიათ დარჩა.

საექიმო დახმარების შესახებ დადგენილ იქნა: აღმოუჩინონ მუშებს საექიმო დახმარება არსებულ კანონის თანახმად.

ამ დადგენილებამ დააკმაყოფილა მუშები და განცხადება შეიტანეს მომრიგებელ კამერაში, რომ საჩივარი, რომელიც მათ შეიტანეს შინა-მრეწველობის კომიტეტის წინააღმდეგ, მოესპოთ.

პროვინცია

საგარეჯო. გარეთ კახეთში ეს სოფელი თავის სივრცით და მცხოვრებთა რაოდენობით ყველაზე დიდია. სოფლის მიხედვით ყოველივე საჭირო კულტურული დაწესებულება არის ამ სოფელში. აქვთ ორი სკოლა, საფეიქრო სასწავლებელი, სამკითხველო, კოოპერატივი, მშვენიერი თეატრის დარბაზი და სხვ. აქაური ინტელიგენცია და მოწინავე პირები უფრო მეტ საქმიანობას იჩენენ, ვიდრე გარშემო სოფლებისა. სოფ. პატარძეულელებს მართალია, სამკითხველოს დარბაზი აქვთ, მაგრამ რამდენიმე წელიწადია მისი კარები არ გახსნილა. სოფ. საგარეჯოში წელს მოსავალი კარგი იყო და საკმაო პურიც გაზიდეს ჩარჩ-ვაჭრებმა. კოდი პური ხუთას მანეთათ იყიდება. აქაურ კოოპერატივში სცვლიან პურს მთავრობის მიერ გაგზავნილ საქონელში. და არც თუ მაინც და მაინც დაინტერესებულნი არიან. ხშირათ შემოდიან კოოპერატივში და თხოულობენ საქონელს ფულზე. პური ჩვენთვისაც არ მოგვეძებნებაო. გაიგეს რა ჩარჩ ვაჭრებმა, რომ გლეხები ტანთსაცმელზე დიდი სიამოვნებით სცვლიან პურ'ო, აუარებელი ხალხი მოაწყდა სოფელს ძველი ტანისამოსით. რამაც ათასგვარი ავათმყოფობა გააჩინა სოფელში. ციებ-ცხელება, ხოლერა, სახადი მოდებულია აქაურ სოფლებში. სოფ. საგარეჯოს ექიმს, რასაკვირველია, არ ძალუძს გასწვდეს და ყველა დააკმაყოფილოს. მას აგრეთვე უხდება სხვა სოფლებშიაც სიარული. აუარებელი ხალხი იხოცება—მღვდლები ვერც კი ასდიან დასაფლავებას. საჭიროა სასწრაფოთ გაიგზავნონ ექიმები ამ რაიონში. ამ მხრივ სავალალო მდგომარეობაშია ს. პატარძეული. დაყოვნება მომაკვდინებელი ცოდვაა. თუ დროზე ზომები არ იქნა მიღებული, მთელ სოფელს განადგურება მოელის. სოფელ საგარეჯოში აუარებელი ხალხი იყო ამ ზაფხულს, წარმოდგენებს, რომლებიც იმართებოდა ადგილობრივ ძალების მიერ, აურაცხელი ხალხი ესწრებოდა. შემოსავალიც ყოველთვის კარგი იყო. ეს იყო მიზეზი, რომ თეატრი ხელოვნების ტაძრის მაგივრათ სავაჭრო სახლის დაწესებულებათ გადაიქცა. ვინ არ გინდა, რომ წარმოდგენას არ მართავდა. თფილისელი „გასტროლიორები“ და ადგილობრივი ძალები. იდგმებოდა ყოვლად უშინაარსო პიესები. სცენის მოყვარენი მოუმზადებელნი გამოდიოდენ. არავითარი შეგნება და წარმოდგენა არ ჰქონდათ თუ რა როლი უნდა განესახიერებინათ, თეატრის გამგეობა ამას ანგარიშს არ უწევდა და ესაა მიზეზი, რომ რაც გინდა კარგი წარმოდგენა იყოს, ხალხი მას უნდობლობის თვალით უყურებს. თუ ეს გაგრძელდა, თეატრი მარტო თფილისიდან ამოსულ უსაქმო ხალხთა თავშესაქცევ ადგილათ გადაიქცევა.

არიან, რასაკვირველია, ისეთნიც, რომელთაც თეატრი უყვართ და შეძლებისდაგვარათ მას ემსახურებიან, როგორც მაგალ. დარ. მაისურაძე, გ. გილოელი, ი. ქურდიანი და სხვ. ამ ზემოხსენებულ პირთა ინიციატორობით 22 სექტემბერს გაიმართა წარმოდგენა ჟურნალ „პირველ ნაბიჯის“ სასარგებლოთ, წარმოადგინეს „მაღაროს უფროსი მუშ.“ და ნ. აზიანის „გაცრუებული იმედები“. წარმოდგენას ავდარმა შეუშალა ხელი, შემოსავალი არ აღემატებოდა 300 მან. მოთამაშენი გვარიანათ ასრულებდენ თავიანთ როლებს.

საშა.

გორი. მთავრობამ გამოსცა კანონი, რომლის ძალით სოფლის კომისრებს ენიშნება ჯამაგირი. სოფლის სამართველოებს ეძლევა განსაზღვრული თანხა სამართველოების მოსაწყობათ და სხ. გორის მაზრაში ცხოვრებაში გასატარებლათ, ამ რამოდენიმე დღის წინათ გვესტუმრა თფილისის გუბერნიის კომისრის თანაშემწე კ. კალანდარიშვილი. მან ჯერ მოიწვია მაზრაში მყოფ რაიონების კომისართა კრება და დაავალა მათ, რაც შეიძლება ჩქარა მოეწყოთ სოფლის კომისრების არჩევნები. მაზრის კომისრის თანაშემწე გ. შარაშენიძის თანხლებით კალანდარიშვილი გაეშურა მაზრაში არჩევნების სახელმძღვანელოთ და ახსნა-განმარტებისთვის. მან შემოიარა მთელი მაზრა, იყო ყველა რაიონებში, ესწრებოდა ზოგან კრებებს და მიტინგებს და ყოველგან ყოველივე მწვავე საკითხს აგვარებდა, და ხალხს ახსნა-განმარტებას და დარიგებას აძლევდა.

გორში დაბრუნებისას ამხ. კალანდარიშვილმა მოიწვია მთელი მაზრის ახლათ არჩეული სოფლის კომისრების კრება, რომელიც გაიხსნა 19 სექტემბერს. დაესწრენ 24 სოფლის და ორი რაიონის კომისრები. გუბერნიის კომისრის თანაშემწემ კრებას აუხსნა: მართვა გამგეობის, მათი ხალხთან და მთავრობასთან მოვალეობის, ჯარის, გზების, სწავლა-განათლების, საავათმყოფოების და სხვა საკითხების შესახებ.

ვალიკო.

ხოფ. სართიჭალა. 17 ენკენისთვეს საღამოთი ხოლერის ნიშნით ერთ ოჯახში ავად გახდა ვაჟი, რომელიც ორი საათის განმავლობაში გარდაიცვალა. იმავე ოჯახში ორი კიდევ გარდაიცვალა იმ ღამესვე მამა და ორი ვაჟიშვილი. 18 ენკ. სამი დედაკაცი გახდა ავად: ერთი მოკვდა, ორი ცოცხალია. 17-ში გარდაცვლილები მე კიდევ 19 დაუსაფლავებელი დავტოვე და 18 გარდაცვალებული კი 19-ში დაასაფლავეს, რასაკვირველია, ქელეხით, ოცი ოცდა ხუთი კაცი სიამოვნებით მივიდა მასთან, მღვდელიც და გამართა ჩვეულებისამებრ ღვინის სმა იმ ოთახში, სადაც დედაკაცი გარდაიცვალა. მე თფილისში მივდიოდი, გზაზე შემხვდა მეურმე, რომელსაც სამი კუბო მიჰქონდა, მეურმეს შევეკითხე: თუ სად მიჰქონდა კუბოები. მიპასუხა: მიმაქვს იმ ოჯახში, სადაც სამი გარდაიცვალა ხოლერით, თანაც მითხრა: ასაფლავებენ 21 ენკენისთვეს.

სოფ. სართიჭალის კომისარმა თუ არ იცის როგორ მოიქცეს ასეთ შემთხვევაში, იქ ხომ არის მათ გვერდით რაიონის კომისარი, რატომ ყურადღებას არ აქცევს და არ მიიღებს ზომებს. ასეთი მათი მოქმედებით ხომ მთელ სოფელს მოსდებს სენს.

მე მოწმე ვარ, რომ სამთო ცხენოსანთა ბატარეის წინამძღოლმა ი. ცაგურიამ ტელეფონით აცნობა სართიჭალის რაიონის კომისარს, რომ საჩქაროთ ზომები მიეღო და სხვა სოფლებიდან სართიჭალაში არავინ შეეშვა, რათა სენი არ გადაეტანათ, მაგრამ კომისარმა მხოლოდ გუბერნიის კომისარს აცნობა და ხალხს, როგორც უნდა ისე დასეირნობს სართიჭალაში და სართიჭალიდან სხვა სოფლებში.

ხალხთან მქონდა ამაზე ლაპარაკი და ასე მიპასუხეს: კომისარი მხოლოდ ქაღალდზეა, თორემ ისე მისი გაკეთებული საქმე არ მინახავსო.

საჭიროა მთავრობამ ყურადღება მიაქციოს კომისრების ასეთ მოქმედებას.

ილია პერევისელი.

ლიხაური (გურია). 8 სექტ. შესდგა საზოგადო კრება, კრების წესრიგში იყო ორი საკითხი: ლიხაურიდან ოზურგეთში მიმავალი გზის შესახებ და საკათალიკოსო საბჭოს მოწერილობა მღვდლებისადმი. გზის შესახებ კრებამ დაადგინა: ვინაიდან მაკვანეთი დღიდან ჩვენთან არის ამ საერთო გზის კეთებაში, არჩეულ იქნას უბნის კომისიები, რომლების მოვალეობა იქნება გზების დაყოფა და შემდეგ თითოეულ კომლზე დანაწილება, რის შემდეგ თითოეული ვალდებული იქნება გააკეთოს თავისი წილი. წაკითხულ იქნა საკათოლიკოსო საბჭოს მოწერილობა მღვდლებისადმი, რომელშიაც სწერია შემდეგი: საბჭო მიმართავს მღვდლებს, შეეკითხეთ საზოგადოების კრებას მათ სურს სასწავლებლებში ისწავლებოდეს სამღვთო სჯული თუ არა და მასთან თუმცა საზოგადოება აძრავს შუამდგომლობას მთავრობის წინაშე მათი ჯამაგირების შესახებ, მაშინ განთავისუფლებული იქნებიან ყოველივე სამღვდელო მოქმედობ ხარჯებიდან, კრებამ დაადგინა: ვინაიდან დღეს ჩვენ ვიმყოფებით საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში, რომლის მთავრობის კანონები ჩვენ გვწამს და სისრულეშიც მოგვყავს, ამისათვის სარწმუნოების საკითხის მოგვარებასაც ვინდობთ მას.

ოზურგეთიდან ლიხაურამდის გამოდის ტელეგრაფი, რომელიც ამ დღეებში დასრულდება, სასურველია გაიხსნას ფოსტის განყოფილებაც, რომელიც დიდ საჭიროებას წარმოადგენს საზოგადოებისათვის. 22 აგვისტოს ამოვარდნილმა ქარმა, ისედაც გვიან დათესილი ყანები სანახევროდ გაანადგურა, მომავალ წელშიაც ჩვენი საზოგადოება შიმშილს ვერ ასცდა. მოსალოდნელ შიმშილს, რომ ოდნავათ თავი დაახწიოს საზოგადოებამ, გადასწყვიტა აძრას შუამდგომლობა უმაღლესი მთავრობის წინაშე პურის შესაძენათ.

მუშა ბარიკაძე.

ლანირის საზ. (ხონის რაიონი) ამ საზოგადოებაში შედის ოთხი სოფელი: ლანირი, ქუტირი, პატარა ჯიხაიში და გვაზოური. ხსენებული საზოგადოება ქ. ხონზე დაშორებულია 8 ვერსით. განვითარების მხრივ თამამათ შეიძლება ვსთქვა, როგორც მეზობელ საზოგადოებები აგრეთვე ეს საზოგადოებაც ძალიან წინ დგას. აქ უკვე არსებობს ყველა კულტურული დაწესებულებები, აგრეთვე სხვაც ე. ი. უმაღლესი პირ. დაწყ. სკოლა, ორ კლასიანი სახალხო სკოლა, სახალხო აფთიაქი ქენონით, ექიმიც თავისი ფერშლებით. ყველა სოფლების კუთხეებში ტელეფონის განყოფილებები, აგრეთვე ყველა სოფლებში სამკითხველოებია, სადაც ვღებულობთ შემდეგ გაზეთებს: „ერთობას“, „სოციალ დემოკრატს“, „სახალხო ფურცელს“, „რესპუბლიკას“, „ბორბას“ „საქართველოს“ და სხვა. სიმართლე უნდა ვსთქვათ, რომ ყველა ამ დაწესებულებების დაარსებაში თუმცაღა სხვასაც ბარა უმეტესი ღვაწლი და შრომა მიუძღვის უმაღლეს შკოლის ინსპექტორს კირილე რუხაძეს. უკანასკნელად განიზრახეს აქ დაარსებულიყო ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილება, განაჩენი დაადგინა საზოგადოებამ და გაგზავნეს სადაც ჯერ არს. შენობა უკვე მზათ არის. ლანირის კანცელარიასთან, მაგრამ 900 კომლს, გამოეყო 200 კომლი, იმათ შექნეს ლანირ-ჯაგნის საზოგადოება, რომელიც მთავრობამ არ დაამტკიცა. მათ ამ ფოსტის გულისთვის ბევრი რამ ეცადეს, რომ წაეღოთ.

ქუტირელი ფუტკარი.

ს. ნამიკოლოვო-კოკაიას კარი (სამეგრელო). ნამიკოლოვოს ახალგაზრდა მარქსისტთა ჯგუფის მიერ 17 ივნისს გამართულ იქმნა წარმოდგენა მასწ. ლ. კეშელავას მეთაურობით. წარმოდგენა კარგად ჩატარდა, ხალხიც კმაყოფილი დარჩა, ბილეთების ფასებიდან შემოვიდა 685 მან. 50 კ. სხვადასხვა ხარჯი იყო 405 მან. 50 კ. წმინდა შემოსავალი დარჩა 280 მან. ახალგაზრდა მარქსისტთა ჯგუფმა ეს შემოსავალი გადასდო სამკითხველოს დასაარსებლად, რომელიც დაარსეს კოკაიას კარზე. დიდ მადლობას უცხადებს სამკითხველოს გამგეობა იმ პირებს, ვინც იკისრა ამ ადგილზე სამკითხველოს დაარსება.

მონდობილობით პარმენ კოკაია.

წერილი რედ. მიმართ

სამედიატორო სასამართლოს განაჩენი.

სამედიატორო სასამართლომ მოისმინა რა განმარტება სოფ. გორა-ბერეჟოულის მოქალაქეთა და მირიან ჭანიშვილის შორის მომხდარ უთანხმოების შესახებ, რომელიც აღნიშნული იყო გაზ. „ერთობის“ მე-157 და 173 ნომრებში, გამოიტანა შემდეგი განაჩენი:

1) მირიან ჭანიშვილმა მიწა გადასცა 6 დეკემბერს, რაზედაც მას დამტკიცებული საბუთი აქვს. მიწის ჩამორთმევის აქტები კი გამოიცა 16 დეკემბერს, ამიტომ ბრალდება, რომ ის არა საკადრისად მოიქცა, არ არის დამტკიცებული. 2) ამასთან გამოქვეყნებული ბრალდება გორა ბერეჟოულელთა მიერ მირიან ჭანიშვილზე შეუფერებელია. 3) ის პასუხი, რომელიც მ. ჭანიშვილმა მოათავსა პრესაში ამ საქმის გამო და, რომელშიდაც თითქმის ყველა სოფელ ბერეჟოულის მოქალაქეთ მოახვია თავზე კერძო პიროვნებების მოქმედება, შეუფერებელია და ამიტომ ის, ჭანიშვილი ვალდებულია პრესის საშუალებით უარყოს საზოგადოებისადმი ბრალდება და თუ კერძო პიროვნებათ რაიმე საქმე აქვთ, ის მასთან ეძიოს.

სასამართ. თავმჯდ. ა. კორიფაძე.

სასამართლოს წევრნი: თ. ჩიჩუა, გ. ბერეჟიანი, ა. ბერძენიშვილი, გ. ულნეტი.

„ერთობის“ № 197-ში მოთავსებულია წერილი, რომელიც მე მეხება. წერილში სიმართლე სრულიად გადამახინჯებულია. საქმის ვითარება იყო შემდეგში: 4 ენკენისთვეს მე შემატყობინეს ჩემივე ჯარის კაცებმა, რომ ორი ჩემი ჯარის-კაცები კომისარს დაუჭერია; სასტიკათ უცემია ორთავესთვის და სამი დღე მშივრები დამწყვდეული ყავდა. ჯარის-კაცები თხოულობდენ, რომ ისინი ბატარეიაში მსახურობდენ და გაეგზავნათ თავის ნაწილის უფროსთან. კომისარს უყურადღებოთ დაუტოვებია მათი თხოვნა. რადგანაც მე ბრძანება მომივიდა მთავრობიდან, რომ ბატარეია უნდა წასულიყო ალბულაღში, მე გავიშურე ხაშმში ჯარის-კაცების განსათავისუფლებლათ, მაგრამ ბ. კომისარმა განთავისუფლების მაგივრად მეც მუქარით დამიწყო ლაპარაკი, იძულებული გამხადა, რომ ძალით გამეთავისუფლებია ისინი.

კომისარმა უნდა იცოდეს, რომ ადმინისტრაციის მიერ დაპატიმრებული ჯარის-კაცი უნდა გაიგზავნოს ნაწილის უფროსთან დანაშაულობის ოქმით. კომისარს არამც თუ ეს არ სცოდნია, მე თითონ რომ ვსთხოვე, მაშინაც არ გაანთავისუფლა.

ხალხის დამოკიდებულებას ბატარეიასთან unus-ში სრულიად ამახინჯებს, ბატარეია ხალხთან მეტად კარგ განწყობილებაშია და რამდენიმეჯერ პრესაშიაც იყო აღნიშნული ბატარეის კულტურულ განმანათლებელი მუშაობა. წაიკითხეთ თებერვლის და მარტის გაზეთები „ერთობა“, „სახალხო საქმე“ და „საქართველო“ და მაშინ ნახავთ, თუ ხალხი რა კმაყოფილი არის ბატარეის მუშაობით.

სამთო-ცხენოსანთა ბატარეის წინამძღოლი პოდპოლკ. ირ. ცაგურია.

გამოვიდა და იყიდება

უნივერსიტეტის

და თეატრის

5.000.000 მანეთის

≡ ლატარიის ბილეთები. ≡

ბილეთი ღირს 25 მანეთი.

პირველი მოგება

100.000 მანეთია.

ბილეთები იყიდება იქ, სადაც გამოცხადებულია. (60—9)

16 სექტემბერს თფ. სადგურზე

დაიკარგა

თოფის ტარების ნებართვა, რომელიც მოცემული იყო სახალხო გვარდიის მთავარ შტაბისაგან. მნახველს ვსთხოვ გამომიგზავნოს შემდეგი მისამართით: სად. თფილისი, ფოსტის განყოფილება. ვარლამ სიხარულიძეს. (1—1)

მიმდინარე წლის მარიამობისთვის 24 ს მე, დავით ლორთქიფანიძეს

დამეკარგა

მოწმობა, რევოლვერის ტარების ნებართვა, ტრამვაიზე სასვლელი სურათი, პარტიული წიგნაკი, სამხედრო თავისუფლების მოწმობა. დღიდან ამ განცხადების გამოქვეყნებისა ზემოხსენებულ დოკუმენტებს ვსთვლი გაუქმებულად.

ექიმი ნ. დ. ტურიაშვილი

(მედიცინის დოქტორი მიუნხენის უნივერსიტეტისა) ღებულობს ავადმყოფებს ყოველ დღე შუადღის 12—2 და საღამოს 4—5 საათ. შინაგან საბავშვო, სა[illegible] და საშვილოსნოს სნეულებანი. ნიკოლოზის ქუჩა, № 7, სიმბოვიჩის აფთიაქის გვერდით.

კბილის ექიმი

ნესტორ ბერძენიშვილი

უწევს უფასო დახმარებას სახალხო გვარდიელებს. ავადმყოფ. იღებს 4—7 ს. მისამართი: ჩერქეზიშვილის ქუჩა, № 145.

სამკურნალო კაბინეტი

ექიმ ალექსანდრე დავითის ძის

პეპელიასი

იღებს კანისა, ვენერიულის და სიფილისით ავათმყოფებს (914—606 ის შეშხაპუნება). ავათმყოფთა მიღება დილის 9 საათ. 11 საათამდე და საღამოს 5 საათიდან 7 საათამდე. მიხეილის პროსპექტი, № 116, სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ. ტელეფონი 14—28.

ექ. ლიასამიძემ განაახლა სახლში ავათმყოფების მიღება 1—2 ს. ნაშ. და 5—6 სად. ოლღას ქუჩა, სახ. № 15 ტელ. 18—03.

გაიხსნა თვალის საავადმყოფო

(მუდმივი საწოლებით)

ექიმი დონხინისა

ყოფილი ასისტენტი უნივერსიტ. თვალ. კლინიკისა ვენაში და პარიზში. ავათმყოფების მიღება ყოველ დღე 9 საათიდან 1 საათამდე და 4—7 ნახევარ საათამდე. მიხეილის პროსპექტი № 141 (კინემატოგრაფ „აპოლოს“ ახლო) მძიმე ავათმყოფები და საოპერაციები მიიღებიან სრულ პანსიონში. ტელეფ. 5—96.

ექიმი დ. ჯავახიშვილი

მიიღებს ბავშვთა და შინაგან სნეულებიან ავათმყოფთ ყოველ დღე კვირის გარდა, დილის 9—11 და საღამ. 5—7 ს ბინა: ვერა, გუნიბის ქუჩა, № 41. ტელეფონი № 14—09.

ექიმი მ. ფ. მგალობლიშვილი

იღებს ქალების და ქირურგიულ სნეულებით ავათმყოფთ დილის 9—11 და საღამოს 5—7 საათ. მისამართი: ოლღას ქუჩა, 41. ტელ. № 9-53. (24—21)

ექიმი დ. ი. ჯაფარიძე

მიიღებს შინაგანის, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებით ავადმყოფებს დილის 11—1 საათამდე, საღამოს 5—7 ს. მადათოვის ქუჩა № 7. ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ. ტელეფონი 16—65.

ექ. [illegible] ა. პ. [illegible]

მედიცინის დოქტ[illegible] უნივე
სიტეტისა და ედინბურგის მედიკო-
რურგიულ კოლლეჯისა. იღებს ყოვ
დღე შინაგან, ქალურ და ვენერ
ავადმყოფთ და იძლევა ხაზებით და
გებას. სიფილისის წამლობა ახალი
თოდებით. დილის 10—12 ს. და სა
მოს 6—7 ნახ. საათამდე. სერგიევის ქ
სოლოლაკი) სახლი № 9. ტელ. 14—7

ექიმი ნიკოლოზ ი. მახვილაძე

იღებს სპეციალურად—მალარიით (ც
ბა) და მისი შედეგებით დასნეულებუ
სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფ
ტვისა, ქარებით და სხვა შინაგან სნ
ლებით ავათმყოფთ ყოველ დღე დი
11—12 საათამდე და საღამოთი 6
საათამდე. ელექტრიზაცია. მისამარ
უდელნი ქ. № 14.

ექიმი ბ. მ. მუხაძე

იღებს სადოსტაქრო ავათმყოფთ საღამ
5—6 საათამდე კვირა დღის გარდა,
სამართი: დიდი მთავრის ქ. № 57,
ცერთა ეკონომიურ საზ. შენობის
ამპირ, სახ. ხვანიშვილისა. ტელ. № 5—

ექიმი

გ. გოლდშტეინი

ყოფილი ასისტენტი ბარონ როტშილ
მთავარი თვალის გოსპიტლისა და
ვენის უნივერსიტეტის კლინიკის

თვალის ავადმყოფობანი

ამორჩევა სათვალეებისა. მიღება 8—
საათამდე და 5—8 საათამდ. ნიკო
ზის ქუჩა, № 32.

მედიცინის დოქტორი

ბერლინის უნივერსიტეტისა

გ. გ. მეგრაბიანც

ჩამოვიდა და განაახლა ავადმყოფ
მიღება.

შინაგანი ავადმყოფობა, პლექს
გულისა. იღებს ახალ რენტგენის—ე
ტრო წამლობის კაბინეტში; გასინჯვ
წამლობა X ს სხივებით დიდი საღ
იდი და არსეველის ტოკით ფილტვ
გულის და სხვა შინაგანი ავადმყო
ბისათვის. ყოველ დღე დილის 9—1
ათამდე და საღამოს 6—8 საათ. ბ
თოვის ქ. № 23, ტელეფონი 7—92.

მიხეილის კერძო სამკურნალო

— მუდმივი საწოლებით —
მიხეილის პრ. № 167, ტელ. 11-

ყოველგვარ სნეულებიან ავათმყოფების მიღება ყოველდღე დილის 9—2 საათ
საღამოს 5—7 საათამდე.

ექ. ა. ნ. შატილოვი თვალების სნეულ. . . .	დილის	9—10 საათ.
„ ა. დ. წულუკიძე ქირურგ. და შინაგ. . . .	„	9—10 1/2 ს.
„ ი. ნ. ტერ აკოფოვი ქალ. და საბებიო . .	„	10—11 „
„ მ. ფ. მგალობელი ქირურგ. და ქალურ . .	„	11—12 „
„ მ. ი. ვაჩნაძე შინაგ. და საბავშვო	„	11—12 „
„ ნ. ა. გამრეკელი შინაგ. და ნერვიული . .	დღის	12—1 „
„ ა. პ. წულუკიძე ქირურგ. და შინაგ. . . .	საღ.	5—6 „
„ ქ. ვ. ტყეშელაშვილი ტყავისა და ვენერ. .	„	6—7 „

მასაჟი, ელექტრიზაცია, კანის ქვეშ შეშხაპუნება. 606 და 914 შეშხაპუნება. საავა
მყოფოსთან არსებობს სამშობიარო განყოფილება ექ. მ. მგალობელისა და ი.
ტერ აკოფოვის ზედამხედველობით. (25—

განცხადება

უნტერ ოფიცრები და ეფრეიტორები, რომლებსაც სურთ განაგრძონ სამს
რი მანგლისის მეორე სანაპირო ლაშქარში, მიუხედავად ეროვნებისა შეუძლ
ჩაეწერონ ზემოხსენებულ ნაწილში დილის 9—2 საათამდე. ჯამაგირი თვეში
მანეთი და ამის გარდა ყველა ის, რაც სამსახურით ეკუთვნის ჯარისკაცს:
სმა და ტანსაცმელი.

(4—2) სანაპირო ლაშქრის უფროსი პოლკოვნიკი საგინაშვილ

სასახლის ბაღში

სექტემბრის 25 დან ოქტომბრის 10-დის გაიყიდება სასახლის ყვავილნარისათ
ზედმეტად მიჩნეული ოთახის სხვადასხვა მცენარე და ყვავილები. გაყიდვა მოხ
ბა დილის 9—12 საათ. საღ. 3—6 საათამდე. შესავალი ერმოლოვის ქუჩი
(3—3

თფილისის ვაჟთა მეორე გიმნაზია

ამით აცხადებს ქართველ მშობელთა საყურადღებოთ, რომ გაეროვნებულ
მოსამზადებელ კლასის ყველა განყოფილებებში

თავისუფალი ადგილია

თხოვნების მიღება გაგრძელება 1 ღვინობისთვემდე.

დირექტორი ილ. ლორთქიფანიძე.

განცხადება

სასურსათო საქმის სამინისტრო ამით აცხადებს, რომ საჯარო ვაჭრობა მარი
შესახებ, რომელიც იყო დანიშნული 5 სექტემბერს არ შესდგა სხვადასხვა ფორმა
ლურ მიზეზებისა გამო. სამინისტრო ხელ-ახლა იუწყება, რომ 25 სექტემბერს,
ღამის 5 საათზე, სასურსათო სამინისტროს შენობაში მოხდება ხელ-მეორე

საჯარო ვაჭრობა

სამინისტროსათვის 800,000 ფუთი მარილის მიწოდების შესახებ

(მარილი უნდა იყოს კრისტალური, მარცლოვანი)

ის პირნი, რომელთაც სურთ მიიღონ მონაწილეობა ამ ვაჭრობაში უნდა
მოცხადდენ ზემო აღნიშნულ დროს სასურსათო საქმის სამინისტროს შენობ
სავალდებულოა შემდეგი:

1) საწინდარი არა ნაკლები 5,000 მან., რომელიც წარმოდგენილი უ
იქნეს საჯარო ვაჭრობის დროს.

2) სახელი, მამის სახელი და გვარი მსურველისა.

3) დრო, როდის იქნება მოტანილი მარილი, ხარისხი და გვარი მარილ

4) ფასი „ფრანკო ვაგონი“ საქართველოს რკინის გზისა.

5) პირობები ფულის გადახდისა.

6) განცხადება უნდა იქნეს შემოტანილი წერილობით დახურულ კონვ
ტებში არა უგვიანეს 25 სექტემბრისა 12 საათზე. კონვერტზე უნდა იყოს და
რილი: სასურსათო საქმის სამინისტროს მიწოდებულ განყოფილების უფროსს.

გზათა მიმოსვლის და სასურსათო საქმის მინისტრი ლორთქიფანიძე.

მომწ. განყ. უფროსი ადამაია. (6—5

მსწრაფლ-მბეჭდავი სტამბა რუხაძისა, გაბაევის შესახვევი, № 1.